ახალი განათლება

15-22.03.2018

№9 (803) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ონლაინ ტრენინგები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი

„მომავალ წელს დავიწყებთ ჯუსების დანერგვას, რომლის საშუალებითაც მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, მაიჯოსოფთის მიერ ქართულად თარგმნილ პლატფორმაზე შევიდნენ, მათთვის სასურველი ჯუსი აირჩიონ და აიმაღლონ ჯვალიფიკაცია. ინოვაციური პროექტი ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საბუნებისმეტყველო საგნებში, მათემატიკასა და ინგლისურში.“

მაბდა მალხაძე

ცვლილება, რომელიც ქართულ უნივერსიტეტებს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილს გახდის

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებები შედის – განისაზღვრება იმ მიმართულებებისა და სფეროების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელი იქნება სამ წელიწადში ბაკალავრისათვის საჭირო სწავლის შედეგის მიღწევა და გაცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომი. დაგეგმილია, ასევე, მაგისტრატურაში სწავლის პერიოდის ერთ წლამდე ან წელიწად-ნახევრამდე შემცირება.

გვერდი 3

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

თსუ — 100

ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდგან

გვერდი 2

სამოდელო გაკვეთილი

სამოდელო გაკვეთილის გეგმა ბუნებაში

გვერდი 8

„ახალი განათლებისა“ და „დიობენეს“ ეთოგბრივი აქსია სკოლებისთვის

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „ჩუჯები“ 2012 წელს შეიქმნა ჰოლანდიაში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადტექნიკური ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„ჩუჯები“ უნიკალურია, ჯერ-ჯერობით ბაზრის ლიდერი იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ ორგორს სასწავლო-კვლევითი გრიფომში, ისე ოჯახში სხვადასხვა თემების წარმოადგენლების მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „ჩუჯების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თემებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი ჩუჯა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ ჩუჯაზე უამრავ საინტერესო ინფორმაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.



თსუ — 100

ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდგან



შალვა ნუცუბიძე
გადაღებულია ნიკო კეცხოველის მიერ

თაობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის დაარსებას, უკვე შეფასებულია. მაშინ ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა – 29 წლის შალვა ნუცუბიძე.

სწორედ შალვა ნუცუბიძე და კიდევ რამდენიმე მეცნიერი იყო ჩართული იმ ჯგუფში, რომელიც კერენსკისთან შევიდა და ნებართვა აიღო. არც ერთ ინსტანციას არ ტოვებდნენ, ოღონდ ეს საქმე გაეტანათ. დიდი ბრძოლით, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ საქართველოში საქმე უკუღმა წავიდა, ამ თაობის მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო. დღეს ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი.

ეს თაობა, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, საფუძველს უყრიდა იმ ევროპული სტანდარტების უნივერსიტეტს, რომელზეც ჩვენ ვოცნებობთ და რომელიც დღეს გვინდა რომ გვქონდეს – მაგისტრატურა, დოქტორანტურა, საერთაშორისო ღირებულების დიპლომი და ა.შ., ჯერ კიდევ მაშინ ყალიბდებოდა. კომუნისტებმა და უვიცმა ბოლშევიკებმა საქართველოს წლები დააკარგვინეს. იმ თაობის მიზნები რომ ბოლომდე შესრულებულიყო, დღეს ჩვენი დიპლომი არავის დასაწუნი არ იქნებოდა. შალვა ნუცუბიძემ, როდესაც ის ევროპიდან დაბრუნდა, ბრძანა: „ჩვენ არ გვაქვს საქმე ისე, რომ ძედი მოვიხაროთ ევროპის საუნივერსიტეტო განათლებისა და მეცნიერების წინაშე. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, მათ ვესაუბროთ, როგორც თანასწორი თანასწორს“. იგონებენ კიდეც, რომ სემინარი, რომელიც დააარსა შალვა ნუცუბიძემ და რომელზეც გაიზარდა ფილოსოფოსების მთელი თაობა, ტოლს არ უდებდა ევროპული უნივერსიტეტების წამყვან მეცნიერთა სემინარებს. ისინი მუშაობდნენ ევროპულ დონეზე და შეიძლება უკეთესადაც კი.

თამარ ნუცუბიძე, პროფესორი

მე არ მინდა უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ლაპარაკი – ეს ყველა გონიერ ქართველ მოქალაქისათვის ცხადი და უდავოა; არც მისი გახსნის იდეის ჩასახვაზე მოგახსენებთ და ამ იდეის პირველ მოტრფიალეთა მაღალ გატაცებაზე; მე მინდა დღევანდელ საუნივერსიტეტო ზეიმის დღეს მოვაგონო ქართველ სტუდენტობას და ქართველ საზოგადოებას აურზაური, რომელიც გამოიწვია პეტროგრადში ქართველ მოწინავე ელემენტების განზრახვამ.

„კერენშჩინის“ ეპოქა იყო. რუსეთი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ დაშლილიყო და პერიფერიებს ცენტრი განაგებდა. მართალია, მთავრობას სათავეში სპეციალისტები უდგნენ, მაგრამ ის ხანა იყო რუსეთის რევოლუციისა, როდესაც პატარა და დიდი ერების სოციალისტები მაღალ და საკაცობრიო მიზნების მიღმა თავის სამშობლოს ვერ ამჩნევდნენ. ასეთ დროს მოვიდა პეტროგრადში ცნობა, რომ პატარა საქართველოში ვიღაცა გათავხედებულა და ამ პოლიტიკურად და კულტურულად „უსუსურ“ ერს უნივერსიტეტს უხსნის. კერძოდ, მეც მივიღე ბარათი პროფ. აკ. შანიძისგან, სადაც იგი მავალებდა თვალყური მედევნებინა ჩვენი უნივერსიტეტის ბედისთვის.

საქმე შეეხებოდა უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას. „ოზაკომი“ ამის წინააღმდეგ თითქოს არ წასულიყო აქ ადგილობრივ, მაგრამ ცენტრისათვის მაინც შეუფერებელ დასკვნებით ამ ამბავმა საშინელი მდგომარეობა შექმნა.

რუსის პატრიოტები, მიუხედავად მათი პოლიტიკური რწმენისა, გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ კავკასიას საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს. ყოველი გამოსახულება ამათი „მეობის“ მაჩვენებელი სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნდათ და რა გასაკვირია, რომ ცნობა ქართული უნივერსიტეტის შუამდგომლობისათვის იქ ყუმბარასავით გასკდა.

– რა საჭიროა თქვენთვის უნივერსიტეტი და ისიც განკერძოებული, ქართული? შეკავებული სიბრაზით მეუბნებოდენ უფრო თავაზიანი რუსები, თუ მაინც და მაინც სრულიად საკმარისი იქნება ერთი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, სადაც რუსული კულტურის მფარველობის ქვეშ თქვენ შეითვისებთ ევროპის ცივილიზაციას.

– ეს მიუტოვებელი სეპარატიზმია აკადემიურ ქურქში გახვეული. გიცნობთ რაც ბრძანდებით თქვენ ქართველები – აშკარა მტრობით მეუბნებოდენ თავ-შეუკავებელი „მოზუბრე“ კადეტები.

განათლების მინისტრი ვინახულე. მან ნაძალადევი თავაზიანობით მიმიღო. შესვლისას წამოდგა და არც თვითონ დაჯდა არც მე დამაჯინა. ასე გაჩერებული მიკითხავდა ლექციას იმის შესახებ, თუ რა უნაყოფო და მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაუდგამს „ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტებს“.

– სხვას რომ თავი დავანებოთ, სთქვა მინისტრმა, როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა, თქვენ არც მეცნიერული ენა გაქვთ, არც ტერმინოლოგია. იფიქრეთ რამდენი დრო დაიკარგება ყველა ამის შექმნაში და შექმნით კი?! არ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი შრომა სრულიად ამაოდ და უშედეგოთ დაიკარგება?!

მე შევეცადე გამეხსენებია მინისტრისათვის ჩვენი წარსული კულტურა, რომლის აღორძინების მოლოდინში ვართ, თუ შესაფერი პოლიტიკური პირობები დადგებოდა. მინისტრს, თუმცა აღმოსავლეთის ფაკულტეტის პროფესორს და აკადემიკოსს, ამ კულტურის შესახებ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აღმოაჩნდა.

არ ვიცი ამის გამო, თუ ჩემი სიჯიუტის მეოხებით, მინისტრმა ტონი შეიცვალა...

– თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ გვეშინია თქვენი უნივერსიტეტის...

მისი სიბრაზე მხოლოდ ამ შიშით აიხსნებოდა.

– ჩვენ დავრთავთ ნებას გაიხსნას ქართული უნივერსიტეტი, მხოლოდ მასთან ერთად ჩვენ გავხსნით ჩვენს რუსულ უნივერსიტეტს და ვნახოთ, რამდენ დღეს იარსებებს თქვენი უნივერსიტეტი.

მე შევნიშნე, რომ სიცხარე, რომლითაც მინისტრი ლაპარაკობს, არ უნდა შეეფერებოდეს თუნდაც იმ თავისუფალ მეცნიერულ მეტოქეობას, რომლის გამართვას გვპირდება ბ. მინისტრი. ახლად გამინისტრებულ პროფესორში აკადემიურმა სინდისმა სძლია ადმინისტრატიულ ინდაურობას და იგი კვლავ დაუბრუნდა დიალოგით შეწყვეტილ ლექციას. ილაპარაკა მეტოქეობის ორგანიულ და სოციალურ მნიშვნელობაზე, შერჩევის კანონებზე ბიოლოგიაში, შეეხო ენათმეცნიერებას და გაათავა ისტორიული მაგალითებით, როგორიც იყო, მისი აზრით გერმანული და ჩეხური უნივერსიტეტების მეტოქეობა პრაგაში.

გიორგი თავზიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მიხეილ ზანდუკელი

დასასრულ მინისტრმა შემატყობინა, რომ უკვე არჩეულია რამოდენიმე პროფესორთაგან კომისია, რომელიც ამუშავებს ერთის მხრით ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს და მეორე მხრით ეცნობა ქართული უნივერსიტეტის დებულებებსო. გამოვემშვიდობე და წავედი ამ კომისიის წევრების სანახავად, „დროებითი“ რესპუბლიკის (და არა რესპუბლიკის დროებითი საბჭოს – ასე მუდამ ებორძიკებოდა ენა კერენსკის – და აკი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი ბორძიკი) სხდომა იყო. მარიამ დედოფლის აფერადებულ სასახლის დარბაზებში დეპუტატებს თავი მოეყარათ. მათ შორის მყისვე შევნიშნე მოქნიული სახე პრ. კაუფმანისა და მუდამ მოცინარი პრ. ვასილიევისა. ესენი იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომელიც, როგორც გამოირკვა, აჩერებდა ქართული უნივერსიტეტის საკითხს მანამდე, სანამ არ შეემუშავებიათ რუსული უნივერსიტეტის დებულებანი ამიერ-კავკასიისათვის.

მივესალმე. პრ. ვასილიევს კარგად ვიცნობდი – ფილოსოფიური საზოგადოების წევრები ვიყავით. უნდა გენახათ მისი მუდამ მოცინარი სახე როგორ შეიცვალა, როდესაც ქართული უნივერსიტეტი ვახსენე. კაუფმანს სახე სულ დაუგრძელდა და მისი მუდამ წითელი ცხვირი, რომლის ნორმალურ ფერზე მოსაყვანად უხვად ხმარობდა „პუდრას“, გაფხეკილს ჭარხალს დაემზგავსა.

შეიქმნა ფიცხელი კამათი, მის უნაყოფიერებაში მე მაშინვე დავრწმუნდი. განვიზრახე ჩვენი ლაპარაკი საინფორმაციოთ გამომეყენებია, მაგრამ მუდამ თავაზიანი ვასილიევი კითხვებზე ძუნწად მიპასუხებდა და იერიშებს განაგრძობდა.

– ვინ უნდა ჩაუდგეს თქვენს უნივერსიტეტს სათავეში, საზოგადოდ ვინაა ამ საქმის ინიციატორი? მკითხა მან და ვერ დავმალავ, მისმა უკმეხმა სახემ ჩამაფიქრა. ძველი რეჟიმის სუნი კიდევ ასდიოდა რუსეთს. გამომძიებლის კილოთი მოცემულმა კითხვამ ჩემში ერთგვარი გაუბედაობა გამოიწვია. იმ კაცის დასახელებაში, რომელმაც თავს იდვა მძიმე ტვირთი ქართული უნივერსიტეტის პიონერობისა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით. ისტორიულ ჩარხის შეუტრიალებლობა ნათლად ჩამოისახა ჩემს წინ და მე ვუპასუხე:

– ქართული უნივერსიტეტის იდეა ეკუთვნის პეტროგრადის უნივერსიტეტის მოღვაწე ქართველობას. განსაკუთრებით კი პროფ. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც საქმეს სათავეში უდგას. პროფესორმა არაწევროვანი სიტყვიერებით მიპასუხა და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დამიწყო იმისივე მტკიცება, რაც მინისტრისაგან გავიგონე. ახალი გავიგე მხოლოდ ის, რომ მთავრობას გადაწყვეტილი ქონდა გამოეგზავნა კავკასიაში საუკეთესო ძალები, უნივერსიტეტის რექტორად ასახელებდენ პროფ. შიმკევიჩს და სხვ. და ყველა ეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იმ თავითვე ჩაეკლათ ქართული უნივერსიტეტის არსებობა.

კიდევ ორი დამახასიათებელი წვრილმანი.

ქართულ უნივერსიტეტს პეტროგრადის მთავრობამ დართო ნება, ხოლო ნებართვა ფოსტით გამოგზავნეს კავკასიაში. იმავე დროს დეპეშით აცნობეს, „ოზაკომს“ თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნა.

პეტროგრადის უნივერსიტეტის გამგეობის კანცელარიაში შევედი სამაგისტრო გამოცდების მოწმობის გამოსატანად.

– რად დაგჭირდათ ეგ მოწმობა – დინჯად მკითხა საბჭოს მდივანმა არ. ნიკიტინმა.

– ხომ ხედავთ რა ამბებია, ვუპასუხე მე, ყოველ შემთხვევისათვის მინდა ხელში მქონდეს.

– ვიცი, ვიცი – შემომძახა სახე-შეცვლილმა მდივანმა, უეჭველად ქართულ უნივერსიტეტში მიბრძანდებით და ღვთის რისხვასავით შემაჩეჩა მოწმობა. კომენტარები ზედმეტია.

დღეს, ქართული უნივერსიტეტის საზეიმო დღეს, ზედმეტი არ იყო ყველა ამის მოგონება. მე მოუწოდებ ქართველ სტუდენტობას სრულის სიმშვიდით და შურის გარეშე მოიგონოს თავისი ქვეყნის ახლო და უკუღმართი წარსული და სრულის იმედით გაემართოს იმ ბრწყინვალე მომავლისაკენ, რომელსაც ათასწლოვანი კულტურის აღორძინება ეწოდება.

.

შალვა ნუცუბიძე

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანოს ჟურნალ „ქართველი სტუდენტის“ პირველი ნომერი, 1920 წელი

რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონ თამარ ნუცუბიძეს წერილის მოწოდებისთვის.

უმაღლესი განათლება

ცვლილება, რომელიც ქართულ უნივერსიტეტებს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილს გახდის

ლალი თვალაგეიშვილი

საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილებები შედის – განისაზღვრება იმ მიმართულებებისა და სფეროების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელი იქნება სამ წელიწადში ბაკალავრისათვის საჭირო სწავლის შედეგის მიღწევა და გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომი. დაგეგმილია, ასევე, მაგისტრატურაში სწავლის პერიოდის ერთ წლამდე ან წელიწად-ნახევრამდე შემცირება. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე თევზაძე ამბობს, რომ კრედიტების რაოდენობა კი არ შემცირდება, გაჩნდება ახალი შესაძლებლობა, რომ იყოს, ასევე, 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა, რადგან ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, სადაც შესაძლებელია 180-დან 240 კრედიტამდე სხვადასხვა პროგრამების განხორციელება. ეს დამოკიდებულია პროგრამაზე. ჩვენთან იყო შაბლონი, რომ შესაძლებელია მხოლოდ 240 კრედიტი.

„ყველაფერი ხდება ევოლუციის გზით, შეუძლებელია თავიდანვე ძალიან განვითარებულ სისტემაში აღმოჩნდე. ამისკენ მივდივართ ნაბიჯ-ნაბიჯ. ახლა შესაძლებელი გახდება, რომ შემუშავდეს და დამტკიცდეს 180-კრედიტიანი პროგრამები.

ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება ხარისხის უმკაცრესი კონტროლი იმისათვის, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ხარისხები შეესაბამებოდეს გარკვეულ კვალიფიკაციას. ეს უნდა გააკეთონ შესაბამისმა სპეციალისტებმა, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.“

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსი **ნინო ბერელიძე** აცხადებს, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებზე სწავლების ვადის შემცირება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს ხელს. მისივე განმარტებით, სტუდენტებმა 3-წლიანი ბაკალავრიატის პროგრამებზე სწავლა შესაძლებელია 2018 წლის სექტემბრიდან დაიწყონ.

„როგორც იცით, არ გვაქვს 3-წლიანი ბაკალავრიატი, მაგრამ ამერიკის და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების დიდი ნაწილი 3-წლიან საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებს. რაკი მასიურად ვერ გადავდივართ 3-წლიან საბაკალავრო პროგრამებზე, გასული წლის დეკემბერში მოვამზადეთ კანონში ცვლილებები ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს დამტკიცების მიზნით და იქ ჩაიწერა, რომ მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება 180-კრედიტიანი ბაკალავრიატის და 90-კრედიტიანი მაგისტრატურის სამაგისტრო პროგრამების შემუშავების წესი, პირობები, კრედიტები და შინაარსი. ასევე, იმ მიმართულებების და სფეროების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია 3 წელიწადში მიიღწეს ბაკალავრიატისთვის საჭირო სწავლის შედეგი და გაიცეს შესაბამისი კვალიფიკაცია. ახლა კანონი პარლამენტშია, გავლილი აქვს საკომიტეტო მოსმენები და ცოტა ხანში განხილვებსაც დაიწყებენ.“

უცხოურ უნივერსიტეტებს არაერთხელ გამოუთქვამთ საქართველოში სხვადასხვა პროგრამების ჩამოტანის ან ფილიალების გახსნის სურვილი, მაგრამ გარკვეული ბიუროკრატიული მექანიზმები ამაში ხელს უშლიდათ. ახალი, 180-კრედიტიანი პროგრამების შემოღება, ამ წინააღმდეგობის დაძლევის მცდელობადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

„240-იანი საკრედიტო სისტემა ხანდახან ხელს უშლიდა ინტეგრაციას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. ვთქვათ, უცხოურ უნივერსიტეტს (ძირითადად ევროპულ უნივერსიტეტებზეა საუბარი) აქვს 180-კრედიტიანი პროგრამა და მას უნდა ერთობლივი პროგრამის განხორციელება საქართველოს მხარესთან, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც ეს განხორციელდებოდა. მართალია, ახლა იქმნება საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ამას ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა და დახვეწა, ე.წ. კანონქვემდებარე აქტები. მომავალი ექვსი თვიდან ერთი წლის განმავლობაში დეტალურად უნდა გაიწეროს, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამა, რომ დაიწყოს მისი განხორციელება. ეს პროგრამები უნივერსიტეტებში უნდა შემუშავდეს, აკადემიური პერსონალის, პროგრამების ხელმძღვანელების თაოსნობით, შემდეგ უნდა წარადგინონ აკრედიტაციაზე და მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ პროგრამებზე სტუდენტების მიღება.

შემსუბუქდება ბიუროკრატიული ან სამართლებრივი ბარიერები, რომ ეს სისტემა თავსებადი გახდეს საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა უფრო მოქნილი გახდება.“ – ამბობს **ალექსანდრე თევზაძე** და აზუსტებს, რომ მოქმედი ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამები გააგრძელებენ მუშაობას და ალბათ საბაკალავრო მიმართულებების უმრავლესობა მაინც ოთხწლიანი იქნება, მაგრამ ეს 180 კრედიტი შეიძლება განხორციელდეს როგორც უკვე არსებულ ოთხწლიან რეჟიმში, ასევე სამნახევრიანში ან სამწლიანში, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მიაღწევს პროგრამის ხელმძღვანელი იმ მიზნებს, რომლებიც საჭიროა ამ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის.

თუ სწავლას ერთი წელი მოაკლდება, დროის ეკონომიასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეს ფინანსური ეკონომიაც იქნება. საუბარია დაფინანსების სისტემის გადახედვაზეც. დღეს-დღეობით დაფინანსების სისტემა მიბმულია სტუდენტზე და იმ კრედიტებზე, რომელსაც ის იღებს. მიმდინარეობს მუშაობა ამ სისტემის გაუმჯობესებაზე, ევოლუციაზე. მაგალითისთვის, დღეს არსებული სტუდენტური გრანტი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას სწავლობს სტუდენტი, რა მიმართულებით იღებს განათლებას. მეორე მხრივ, სწავლა სხვადასხვა სპეციალობაზე სხვადასხვა თანხა უჯდება უნივერსიტეტს – ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, ან სამედიცინო მიმართულებით ერთი სტუდენტის განათლებისთვის შესაძლოა მეტი თანხა დაიხარჯოს, ხოლო, მაგალითად, ჰუმანიტარული უფრო იაფი ჯდებოდეს. დღემდე ეს საკითხი უნივერსიტეტის შიგნით რეგულირდებოდა, თანხებს უნივერსიტეტი ანაწილებდა, რაც, გარკვეულწილად, შესაძლოა, პრობლემურიც იყო. განათლების მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ, სასურველია, ეს სხვაობა დაფინანსების სისტემაში აისახოს. *„რა თქმა უნდა, თუ ეს მოვახერხეთ და კანონში ავსახეთ, უნივერსიტეტებთან შეთანხმებით, კონსულტაციებით და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით, შემდეგ შეიძლება დადგეს საკითხი, თუ რა დაფინანსების სისტემა განვახორციელოთ, ვთქვათ, იმავე 180-კრედიტიან პროგრამაზე.*

კერძო უნივერსიტეტის მოდელი და სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდელი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულია. კერძო უნივერსიტეტებს გაცილებით მეტი თავისუფლების ხარისხი აქვთ, მათ შეუძლიათ არსებულ გადასახადზე გაცილებით მეტი ან ნაკლები დააწესონ. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდა აირჩიონ, რა ტიპის სექტორზე მუშაობენ ისინი – იღებენ ვიწრო სპეციალიზაციას, გაცილებით მეტს ხარჯავენ სტუდენტის მომზადებაში, ვიდრე, ვთქვათ, იგივე სახელმწიფო უნივერსიტეტი და უფრო მაღალ კვალიფიკაციას აძლევენ ან პირიქით – ცდილობენ, უფრო ფართოდ იმუშაონ და უფრო ეკონომიურ სექტორში იყვნენ, ეს მათი არჩევანია.“

საინტერესოა, როდის გახდება ცნობილი იმ მიმართულებების და სფეროების ჩამონათვალი, რომლებსაც ეს ცვლილება შეეხება და როდიდან დაინერგება სიახლე? განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ კანონის მიღების შემდეგ (განხილვის პროცესშია საქართველოს პარლამენტში), ექნებათ გარკვეული პერიოდი – ექვსი თვიდან ერთ წლამდე – დეტალებზე სამუშაოდ და, როგორც ყოველთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს დეტალები იქნება ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კანონში ცვლილებების შემდეგ უნდა განხორციელდეს იმ პროგრამების ანალიზი, რომელსაც ქართული უნივერსიტეტები ახორციელებენ და დადგინდეს მათი თავსებადობა საერთაშორისო უნივერსიტეტების პროგრამებთან.

„კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 6 თვის განმავლობაში დადგინდება, რომელ სფეროში იქნება შესაძლებელი 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების განხორციელება, კრედიტების მოცულობა და შინაარსი. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ხელს შეუწყობს ჩვენი პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. კანონით შესაძლებელია, რომ ჩვენმა და უცხოურმა უნივერსიტეტებმა განახორციელონ ერთობლივი პროგრამები და გასცენ ერთობლივი აკადემიური ხარისხები. აქამდე ხელი ეშლებოდა ასეთი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რადგან მათ სამწლიან და ჩვენს ოთხწლიან პროგრამებს შორის განსხვავებული ხანგრძლივობა იყო. არადა, კანონით შესაძლებლობა გვაქვს, რომ სტუდენტმა, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, სწავლის ნაწილი საქართველოში, ხოლო ნაწილი უცხოეთში გაიაროს. ამ შემთხვევაში გაიცემა ერთობლივი აკადემიური ხარისხები, შეიძლება ეს იყოს როგორც ორმაგი, ასევე სამმაგი ხარისხის,“ – განაცხადა ნინო ბერელიძემ.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, ვადის დაწევა აქაც შესაძლებელია, რადგან სამაგისტრო პროგრამების ნაწილი 90 კრედიტზე ჩამოდის, რაც აღნიშნულის საშუალებას იძლევა. დღეს მაგისტრატურის ყველა პროგრამა, მინიმუმ, 120-კრედიტიანია. შესაძლოა, პროგრამების ნაწილი 90 კრედიტზე ჩამოვიდეს, შესაბამისად, 1 წელიწადში ან წელიწადნახევარში სამაგისტრო პროგრამების ნაწილის დაძლევა სავსებით შესაძლებელი იქნება.

კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ უცხოეთში ორი ტიპის მიმართულება არსებობს – თეორიული და პროფესიული პროფილის ბაკალავრიატიც, მაგისტრატურაც და დოქტორანტურაც. ამასთან, არსებობს კონკრეტული სფეროები, სად შეიძლება 90-კრედიტიანი მაგისტრატურა იყოს იმიტომ, რომ შინაარსს აქვს მნიშვნელობა. *„ამერიკაში 3-წლიანი ბაკალავრიატი ნორმაა, რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ინგლისს და გერმანიას, ძირითადად, ჰუმანიტარულ და ზოგ შემთხვევაში – ტექნიკურ მიმართულებებზე აქვთ. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირებაში არის ორი ტიპის პროგრამა, ერთი რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული ბიზნესის სფეროში, ხარ თეორეტიკოსი და ანალიტიკოსი, ეს არის აკადემიური პროფილის მიმართულება და მოიცავს ხანგრძლივი სწავლის პროცესს, მაგრამ არის მეორეც, შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული კომპონენტის შემოტანაც. ეს შინაარსი და წყობა განსაზღვრავს პროგრამის მოცულობასაც. ყველაზე მთავარია აბიტურიენტების მომზადების დონე, რომლებიც ამ პროგრამებზე ირიცხებიან. მაგალითად, ამერიკაში არ არის სკოლა მთლად მაღალ დონეზე განვითარებული, ამიტომ ფედერალურ დონეზე დგას საკითხი, რომ ერთწლიანი ზოგადი მომზადების კურსი კურიკულუმებში სავალდებულოა, შემდეგ ორ წელში კი ძირითად სპეციალობას სწავლობენ. თუ ჩვენს პროგრამებს შევხედავთ, სავალდებულო მოსამზადებელი ბაკალავრიატში მოქმედი 240 კრედიტიდან, სავალდებულო, მინიმუმ, 120 კრედიტი უნდა იყოს, რაც სპეციალობის საგანს ეხება, დანარჩენი შესაძლებელია იყოს დამატებითი კომპონენტები ან დამატებითი სპეციალობა.*

გარდა ამისა, არსებობს 60-კრედიტიანი მაგისტრატურაც, მაგრამ თუ ის არ მოიცავს კვლევის კომპონენტს სრულყოფილად, სტუდენტებს დოქტორანტურაში დაშვების ბარიერი ბევრ ქვეყანაში ექნებათ. ამიტომ აქვს შინაარსს მნიშვნელობა, რომ ბაკალავრის დიპლომი იყოს სრულყოფილი, რომ შეძლოს სტუდენტმა სწავლის გაგრძელება ჯერ მაგისტრატურაში, შემდეგ დოქტორანტურაში, ასევე სრულყოფილი მაგისტრატურის პროგრამის გავლის შემდეგ.“

აღნიშული ცვლილებების შემდეგ, შესაძლებელია, 2018 წლიდან, სტუდენტებმა სწავლა სამწლიანი ბაკალავრიატის პროგრამებზე დაიწყონ. ეს დამოკიდებულია წესის ამოქმედებაზე და იმაზე, რამდენად სწრაფად შეიმუშავებენ უნივერსიტეტები პროგრამებს, რომ ბაკალავრიატზე სწავლა სამ წლამდე შეამცირონ, გაივლიან ავტორიზაციას ან აკრედიტაციით დაიმატებენ ამ პროგრამებს, ეს უკვე სასწავლებლების უფლებამოსილებაა. რაც შეეხება უკვე არსებულ პროგრამებს, მათ 3-წლამდე ბაკალავრიატის შემცირება არ შეეხება, თუმცა, სტუდენტებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამებზე სწავლობენ, მობილობით შეეძლებათ სამწლიანი ბაკალავრიატის პროგრამებზე გადასვლა.

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

ონლაინ ტრენინგები – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი

ლალი ჯელაძე

პირველად საქართველოში მასწავლებლები პროფესიულ განვითარებას ელექტრონულ რეჟიმში შეძლებენ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსები პედაგოგებს შესაძლებლობას მისცემს, მათთვის სასურველ დროს და ადგილას, ონლაინ რეჟიმში გაიარონ ტრენინგები. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველომ“ პროექტის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ გამართა. შეხვედრაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ მმართველი დირექტორი **კატერინა ნტეპი**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** მონაწილეობდნენ. მათ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, **მაგდა მაღრაძის** განცხადებით, მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების მიზნით, ფონდმა ონლაინ მოდულების შექმნა განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო. *„მომავალ წელს დავიწყებთ კურსების დანერგვას, რომლის საშუალებითაც მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ, მაიკროსოფთის მიერ ქართულად თარგმნილ პლატფორმაზე შევიდნენ, მათთვის სასურველი კურსი აირჩიონ და აიმაღლონ კვალიფიკაცია. ინოვაციური პროექტი ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საბუნებისმეტყველო საგნებში, მათემატიკასა და ინგლისურში“,* – ამბობს მაგდა მაღრაძე.

„ონლაინ კურსი 9 მოდულისაგან შედგება და მოიცავს როგორც ზოგადპროფესიულ პროგრამას, ასევე საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, გეოგრაფია, ინგლისური) მოდულებს. ელექტრონული პროგრამა არის სიახლე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. პროგრამა მოქნილია და მასწავლებელს აძლევს საშუალებას, საკუთარი პროფესიული განვითარება თავად დაგეგმოს სახლიდან გაუსვლელად, მისთვის ხელსაყრელ დროს,“ – განაცხადა **ლია გიგაურმა.** – *ეს არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრენინგების ტრადიციულმა ფორმამ „ამოწურა თავისი თავი“ და საჭიროა უფრო მეტად მოქნილი და მდგრადი სისტემა, რომელიც ნებისმიერ მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, საკუთარი სახლიდან ან საკლასო ოთახიდან ისარგებლოს პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსებით.“*

ელექტრონული ტრენინგები შეიძლება სქემაში აისახოს და მასწავლებლებს ტრენინგების გავლის საფუძველზე კრედიტქულები მიენიჭოს.

„ყველა რეფორმის ფარგლებში, რომელიც დღეს მიმდინარეობს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ერთ-ერთი მიმართულება დეცენტრალიზაციაა. ონლაინ ტრენინგებიც დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი სახეა, შესაბამისად, მას შემდეგ რაც ტრენინგები დარეგისტრირდება მასწავლებლის სახლში და პედაგოგები ამ კურსებს წარმატებით გაივლიან, შესაძლებელია მიენიჭოთ კრედიტები“, – განაცხადა ლია გიგაურმა.

პროცესი 2019 წლის აპრილში დასრულდება, პილოტირების შემდეგ იგი ყველა დაინტერესებული მასწავლებლისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

ფონდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსების შემუშავებას მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

რატომ გახდა საჭირო პროფესიული განვითარების ონლაინ პლატფორმაზე გადასვლა და რა მიზანს ისახავს პროექტის მიერ შეთავაზებული მოდულების ონლაინ ფორმატში გადაყვანა, ამის შესახებ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის მენეჯერი **ირინა აბულაძე** ამბობს, რომ პროექტის დასაწყისიდანვე მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გასაძლიერებლად. ეს ინიციატივა მასწავლებლების ტექნოლოგიებთან დაახლოების გარდა, კიდევ რამდენიმე მიზანს ემსახურება. ირინა აბულაძე: *„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება, რომელიც ზოგადად დადასტურებულია, არის ის, რომ, პირველ რიგში, მასწავლებელი კომფორტულად უნდა გრძნობდეს თავს ტექნოლოგიებთან მიმართებაში, მან უნდა შეიგრძნოს ტექნოლოგიების გამოყენების ხიბლი და ეფექტი. ინიციატივა რამდენიმე მიზანს ემსახურება: ერთი არის ის, რომ მასწავლებლები თავად განვითარდნენ პროფესიულად და დაახლოვდნენ ტექნოლოგიებთან, რაც გულისხმობს მათთვის ონლაინ ტრენინგების შეთავაზებას. თვითონ ნახავენ და გამოცდიან, რამდენად ეფექტურია პროცესი, რომ შემდეგ ანალოგიური ინიციატივები საკლასო დონეზე განახორციელონ.*

მეორე მიზანი გახლავთ ის, რომ პირისპირ ტრენინგისგან განსხვავებით, რომელიც უკვე კარგად აპრობირებულია, ონლაინ ტრენინგის შეთავაზება უზრუნველყოფს მასწავლებლის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას – მას შეეძლება, სკოლიდან და სახლიდან გაუსვლელად, პროფესიული განვითარება თავად დაგეგმოს; განსაზღვროს დრო, მეტი კომფორტი შეიქმნას, რადგან აღარ დასჭირდება გარკვეულ დროს გარკვეულ ლოკაციაზე მისვლა და ა.შ.

მესამე და უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელმა დროში გაწერილი დავალებები თუ სხვა აქტივობები საკლასო ოთახთან მეტად დააკავშიროს. პირისპირ ტრენინგის დროს ეს რთულია ლოჯისტიკურადაც და ტექნიკურადაც. შეუძლებელია მასწავლებლებმა ტრენინგისთვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში წინ და უკან იარონ და იქ მიღებული ინფორმაცია/ცოდნა პრაქტიკაში განახორციელონ. ონლაინ ფორმატის შემთხვევაში კი ეს შესაძლებელია, პირიქით, ძალიან ეფექტურიც. მაგალითად, პირობითად, ერთი 12-საათიანი მოდული, რომელსაც შაბათ-კვირას გადიოდნენ მასწავლებლები, შეუძლიათ ხუთი კვირის განმავლობაში გადაანაწილონ, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი პრაქტიკას არ მოწყდეს და ყოველი პატარა ეტაპი – შეთავაზებული დავალებები და აქტივობები – საკლასო ოთახში განახორციელოს. ის ამით რეფლექსიასაც აკეთებს და ყველაფერს პროფესიულ განვითარებასთან აკავშირებს. პრაქტიკულად, მასწავლებელს, უფრო მეტი დრო ეძლევა, რომ კარგად გაიაზროს მასალა და დაუკავშიროს პრაქტიკას.

ონლაინ მოდულები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ლექციების სახით ჩანაწერი მასალა. ის რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინტერაქცია და თანამშრომლობა. მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, კომუნიკაცია დაამყაროს როგორც კურსის ფასილიტატორთან (ტრენერთან), ისე მის ჯგუფში მყოფ ადამიანებთან. როცა ტრენინგ-კურსი გაიხსნება, დაკომპლექტდება სატრენინგო ჯგუფი, რომლისთვისაც კურსის დასაწყისი და დასასრული საერთო იქნება. შეიქმნება ისეთივე სატრენინგო ჯგუფი, როგორიც ეყოლებოდა ნებისმიერ ჩვეულებრივ სატრენინგო კურსს, სადაც მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ ტრენინგის პროცესში ან შემდგომ, საკლასო საქმიანობისას, მიღებულ გამოცდილებებს, მოსაზრებებსა და რესურსებს. ჯგუფს ეყოლება ფასილიტატორი-ტრენერი, რომელიც ამ პროცესებს თვალს მიადევნებს, რეკომენდაციებს მისცემს, დავალებებს შეაფასებს და ა.შ.

რაც შეეხება კრედიტქულების მინიჭებას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ამ პროცესს აუცილებლად ექნება წამახალისებელი მექანიზმები. მოგეხსენებათ, რომ პირისპირ ტრენინგების შემთხვევაშიც ასეა და, შესაბამისად, ონლაინ ფორმატშიც იქნება განსაზღვრული კრედიტქულები. უბრალოდ, წინასწარ იმის თქმა, რამდენ კრედიტქულას მივანიჭებთ მასწავლებლებს ონლაინ ტრენინგის გავლის შემდეგ, ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ახლა მიმდინარეობს მოდულზე მუშაობა.

მასწავლებლებისთვის ონლაინ ტრენინგების გავლა უფასოა, თუმცა დასაზუსტებელია დეტალები. მაგალითად, თუ ის ვერ დაასრულებს კურსს ან ხელმეორედ მოუწევს იმავე ტრენინგის გავლა, ექნება თუ არა თანხა გადასახდელი.

ყველა მოდული გაივლის პილოტირებას და 2019 წლიდან (მოგეხსენებათ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტი 2019 წლის ივნისში სრულდება და ყველა რესურსი, რაც ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნება, გადაეცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს) ტრენინგები გამოცხადდება ცენტრის ფარგლებში. კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც გადაწყდა ამხელა რესურსის ჩადება ონლაინ კურსების შესაქმნელად, სწორედ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის მდგრადობაა. ფინანსურად და ტექნიკურად პირისპირ ტრენინგები საკმაოდ მოცულობითია, ხოლო ონლაინ ტრენინგების მართვა, ფინანსურ ჭრილში, სახელმწიფოსთვისაც და მასწავლებლისთვისაც უფრო მეტად მომგებიანი და მომხიბვლელი იქნება. ამის გარდა, ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია გაცილებით მეტი მასწავლებლის და მეტი ჯგუფის მოცვა კონკრეტულ პერიოდში, ვიდრე ამას გავაკეთებდით პირისპირ ტრენინგების შემთხვევაში. შესაბამისად, ეს ინიციატივა, მდგრადობის კუთხით, პროფესიული განვითარების კურსები რომ არ გაჩერდეს და უფრო მეტი მასწავლებელი მოიცვას, ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც, ვფიქრობთ, პროცესი მიმზიდველი იქნება როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მასწავლებლებისთვისაც.

რაც შეეხება პირისპირ ტრენინგების გაგრძელებას, გეტყვით, რომ, რა თქმა უნდა, ცენტრი 2019 წლიდან შეიმუშავებს ხედვას. იგეგმება სხვა ანალოგიური მოდელით პროფესიული განვითარების კურსების შემუშავებაც, ამიტომ, თავიდან პირისპირ ტრენინგები პარალელურ რეჟიმში გაგრძელდება. მასწავლებელს ექნება საშუალება, აირჩიოს, რომელ ფორმატში გაივლის ტრენინგს. ეს აუცილებელია იმის გამოც, რომ ყველა სკოლას და რაიონს არ აქვს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, ამიტომ ცენტრი ორივე ფორმატში გააგრძელებს ტრენინგებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ სამწლიან ან ხუთწლიან პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება ტექნოლოგიების მეტი ინტეგრაცია როგორც პროფესიული განვითარების კურსებში, ისე საკლასო ოთახში.

9 მოდულიდან, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, სამი კურსი ზოგადპროფესიული უნარების კურსია, რომელიც შესაძლებელია დასრულებისთანავე, 2019 წლიდან, როგორც კი რეგისტრაცია გამოცხადდება, არა მხოლოდ პროექტის სამიზნე საგნების მასწავლებელმა, არამედ ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა გაიაროს, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. მას შემდეგ, რაც 9-ვე მოდული გაივლის აპრობაციას და ამოქმედდება, ცენტრი სხვა საგნების მიმართულებითაც გეგმავს ანალოგიურ ტრენინგებს.“

ელექტრონულ კურსებს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია შეიმუშავებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. პროექტის ხელმძღვანელი, განათლების საკითხების მკვლევარი სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ ზოგადად კარგი ინიციატივაა და ონლაინ სწავლების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა საქართველოში, ასეთი მასშტაბით. ის საუბრობს ონლაინ ტრენინგების უპირატესობებზე და მიიჩნევს, რომ მასწავლებლებისთვის, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, ონლაინ ტრენინგები ნაკლებ სტრესულია.

სიმონ ჯანაშია: *„პირისპირ სატრენინგო პროგრამები ცხადია დარჩება, რადგან მას თავისი უპირატესობები აქვს. პირისპირ ტრენინგების დროს უფრო სწრაფად შეიძლება გადაამოწმოს მასწავლებელმა საკუთარი შესაძლებლობები, მოსაზრებები, სწრაფად დაუკავშირდეს სხვა ადამიანებს, უფრო მარტივად შეიძლება მოხდეს მოდელირება, მაგალითად, ტრენინგზე შეიძლება ჩავატაროთ გაკვეთილი და იქვე გავარჩიოთ და ა.შ. ონლაინ სატრენინგო კურსებს კი სხვა უპირატესობები აქვს, მაგალითად, მასწავლებელმა ტრენინგს შეიძლება დაუთმოს ისეთი დრო, რომელიც მას უფრო აწყობს და არა ის დრო, რაც სატრენინგო კურსის პროვაიდერმა დააწესა. ონლაინ კურსები, ასევე ამცირებს არა მხოლოდ მონაწილეების, არამედ ტრენინგის ჩამტარებლების ტრანსპორტირების ხარჯებს. ამის გარდა, ონლაინ ტრენინგის დროს მეტი შესაძლებლობა ეძლევა მასწავლებელს უფრო მრავალფეროვან მასალას გაეცნოს, თან ისეთი ინტენსივობით, რაც მისთვის უფრო მისაღებია. მაგალითად, მან შეიძლება არა მხოლოდ ერთხელ უყუროს ფილმს, რომელსაც ტრენინგებზე აჩვენებენ, არამედ იმდენჯერ გადაახვიოს და ნახოს, რამდენჯერაც სჭირდება გასააზრებლად, სრული თავისუფლება აქვს თავად გადაწყვიტოს, რამდენი დრო დაუთმოს მასალის შესწავლას ან გააზრებას და ა.შ.*

სატრენინგო კურსების მიმწოდებლებისთვის ონლაინ ტრენინგების სისტემა იმიტომ არის კარგი, რომ მეტი მონაცემები გროვდება იმის შესახებ, რამდენად ეფექტურია თავად კურსი. მაგალითად, შესაძლებელი ხდება ვნახოთ, რამდენ დროს უთმობენ ადამიანები კონკრეტული საკითხის წაკითხვას, ყურებას, გააზრებას, განსჯას, ასევე, უკეთ შეძლებენ შემოწმების ხერხების გამოყენებას. კურსები მასწავლებელს იმის შესაძლებლობასაც მისცემს, რომ ისეთ ხალხს დაუკავშირდეს, რომლებსაც სხვაგვარად ვერ დაუკავშირდებოდა. თუ ტრადიციული ტრენინგები რაიონულად ტარდება, მაშინ მასწავლებელი მხოლოდ ამ რაიონში მყოფ მასწავლებლებთან დაკავშირებას შეძლებს, ხოლო, ონლაინ ტრენინგების დროს, მას შეუძლია სხვა რაიონის მასწავლებლებსაც დაუკავშირდეს, ვინც იმავე კურსზეა დარეგისტრირებული. ასევე, ონლაინ კურსები, რომლებსაც ჩვენ შევიმუშავებთ, მონაწილეს საშუალებას მისცემს, კურსის ფარგლებში, თავად მოიტანოს მასალები, ანუ პირისპირ ტრენინგების ფარგლებში, მონაწილე უფრო პასიურია და მხოლოდ ტრენინგის მიმწოდებლებისგან შექმნილ ინფორმაციას იღებს, ხოლო ონლაინ კურსების შემთხვევაში, მასწავლებლები თავად ქმნიან მასალებს, რომლებსაც იყენებენ ტრენინგის განმავლობაში.

პროფესიული განვითარება

ყურადსაღებია ისიც, რომ მასწავლებლებისთვის ასეთი სახით ჩატარებული ტრენინგები ნაკლებად სტრესული იქნება, რადგან ონლაინ კურსი საშუალებას აძლევს ადამიანს, მისთვის მოსახერხებელ დროს და უფრო უსაფრთხო გარემოში გაიაროს ტრენინგი სხვებისგან დამოუკიდებლად, დარეგისტრირდეს მისთვის უფრო მისაღებ ჯგუფში.

სულ 9 კურსი შეიქმნება – სამი ზოგადი და ექვსი საგნობრივი. მონაწილეს ერთდროულად შეუძლია გაიაროს ზოგადი და საგნობრივი კურსიც, თუკი ის შეთავაზებული იქნება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გადასაწყვეტია, რა სიხშირით იქნება ხოლმე ონლაინ კურსები. ონლაინ კურსი გულისხმობს ასევე პირისპირ ფორმატსაც. მაგალითად, მასწავლებელმა ზოგადი კურსი შეიძლება ოთხი კვირის განმავლობაში გაიაროს ინტერნეტის ფორმატში, ამის შემდეგ კი ერთი შეხვედრა აუცილებლად პირისპირ ფორმატში შედგება.

სამომავლოდ, თუ მასწავლებლები ნახავენ, რომ მისაღები ფორმატია, ალბათ, კურსების რაოდენობაც გაიზრდება. შეიძლება გაიზარდოს იმ ორგანიზაციების რიცხვიც, რომლებიც ამ კურსებს მოამზადებენ და შესთავაზებენ მათ. ასეთი ონლაინ-კურსები უფრო და უფრო პოპულარული ხდება უმაღლესი განათლების სფეროში და კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტები ჩაერთვებიან პროცესში და მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც მიაწვდიან ასეთ კურსებს. პრინციპში, ეს ძალიან სასარგებლოა იქ, სადაც მასწავლებლების ნაკლებობაა. ცხადია, სკოლის დირექტორებისთვისაც შესაძლებელი იქნება მომავალში ასეთი ტიპის კურსების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც რაღაც პრინციპი იცვლება სკოლაში და აუცილებელია, რომ დიდი რაოდენობის ადამიანებს გააგებინო, თუ როგორ დანერგონ ეს პრინციპი. ონლაინ კურსები ფართო შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, მიაწოდოს ორგანიზაციას ამა თუ იმ საკითხზე ინსტრუქტაჟი.“

ელექტრონული კურსების პილოტირება გაზაფხულზე დაიწყება, პირველ სამ ელექტრონულ კურსზე მუშაობა კი პილოტირების საფუძველზე მიღებული საბოლოო შესწორებებით დასრულდება. 2018 წელს ზოგადი კურსების შემუშავება იგეგმება, ხოლო 2019 წელს საგნობრივი ელექტრონული კურსების შემუშავება დასრულდება.

* * *

2013 წელს აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის 140 მილიონი აშშ დოლარის მეორე კომპაქტის (გრანტის) ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. კომპაქტი წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიულ ინვესტიციებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების პროექტების დასაფინანსებლად, საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური და საინჟინრო მიმართულებების გაძლიერების მიზნით.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო“ STEM მიმართულების მასწავლებლებისა და საჯარო სკოლების დირექტორთა ტრენინგებს 2016 წლიდან ატარებს, რისთვისაც გამოყოფილია 14 მილიონი დოლარი.

2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით, „ლიდერობის აკადემია 1“-ის ფარგლებში გადამზადდა არაქართულენოვანი სკოლების 166 დირექტორი. „ლიდერობის აკადემია – 2“-ის ფარგლებში კი მიმდინარეობს 1776 ქართულენოვანი სკოლის დირექტორისა და 1642 სკოლის ფასილიტატორის გადამზადება. რაც შეეხება პროფესიული განვითარების ტრენინგებს, ტრენინგების მოდული „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“ გაიარა 15134-მა მასწავლებელმა, 6630-მა პედაგოგმა კი – საგნობრივი ტრენინგი.

საუბრები ლიტერატურაზე

ოჯახური პორტრეტები ქართულ მწერლობაში

ქართული მწერლობის ძირითადი დისკურსი ეროვნული თემატიკაა, თუმცა ამ თემის პარალელურად ადამიანთა ურთიერთობებს, ამა თუ იმ ეგზისტენციალურ საკითხს არ მოკლებია ნიჭიერ მწერალთა ყურადღება. ამჯერად ვგულისხმობ ოჯახურ ურთიერთობებს, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში წარმოქმნილ ფსიქოსოციალურ პრობლემებს, გრძნობებს – სიყვარულით გაჯერებულს თუ ყალბსა და გულგრილს, თანადგომასა თუ მეორე ნახევართან უსიყვარულობის ჯებირის აღმართვას და სხვა უამრავ ემოციას, რომელიც ამ ურთიერთობაში იჩენს თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ლიტერატურა უფრო მეტად იყო დაინტერესებული ცხოვრებისეული საკითხებით, ფსიქოლოგიური ნიაღსვლები წამყვან თემადაც კია მიჩნეული ევროპელ თუ რუს მწერალთა შემოქმედებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული თემა წარმმართველი იყო ჩვენი მწერლების შემოქმედებაში; ეს პოლიტიკური მდგომარეობითაც იყო განპირობებული, მაგრამ ამის მიღმა არც ადამიანის შინაგანი ემოციები გამორჩენია ქართულ სიტყვიერებას და ერთ ოჯახურ სივრცეში მოქცეული ადამიანების განცდათა სხვადასხვა მახასიათებელზე გამახვილდა ყურადღება (განსახილველად საპროგრამო მასალით გათვალისწინებული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებით შემოვიფარგლე).

ვიდრე საანალიზო ტქსტებზე გადავიდოდეთ, გავიხსენოთ იოანე ოქროპირი, რომლის განმარტებით, ქორწინება ორი წრფელი გულის (ნდობითა და ურთიერთპატივისცემით შეერთებულის) კავშირია, რომელიც იესო ქრისტესა და ეკლესიის კავშირის მსგავსია. როგორც ეკლესიაა სახლი მაცხოვრისა, ქმრისთვისაც ცოლი ნავსაყუდელი უნდა იყოს, ხოლო ცოლმა, ეკლესიის მსგავსად, ქმრის პატივისცემა და სიყვარული უნდა გამოიჩინოს. ქმარს ძლიერად და მარადიულად უნდა უყვარდეს თავისი ცოლი და არანაირმა განსაცდელმა და საცდუნებელმა არ უნდა გაუნელოს სიყვარული მეუღლის მიმართ. *„იზრუნე შენს ცოლზე, როგორც იესო ქრისტე ზრუნავს ეკლესიაზე“,* – მოძღვრავს ქმარს იოანე ოქროპირი, – *„დაე, დაგჭირდეს შენი სულის გაღება მისთვის, ჭირთათმენა, მაინც ვერ შეძლებ გააკეთო ის, რაც იესო ქრისტემ გააკეთა ეკლესიისთვის“.*

ჰაგიოგრაფიული ტექსტი „შუშანიკის წამება“ ოჯახური დრამის ბრწყინვალე ნიმუშია. ზოგი მკითხველი შუშანიკისა და ვარსქენის ურთიერთობას სრული უსიყვარულობის შლეიფს ახვევს, ზოგი კი გარკვეულ პაექრობასაც ხედავს ქალისგან (და არამხოლოდ განღმრთობის გზაზე დამდგარი წმინდანისაგან) უარყოფილი გავეშებული მამაკაცისას. ერთი რამ ფაქტია, ეს ტექსტი იდეოლოგიური ტექსტია მხატვრულ ღირსებასთან ერთად და მხოლოდ ერთ ჭრილში მისი განხილვა, ვფიქრობ, არასწორი იქნება. შუშანიკი სრულიად უარყოფს ქრისტეს განმდევნელ ვარსქენს და „ზეციური ქორწილისთვის“ გამზადებული „სასძლო“, „საკრველებით“ დამშვენებული, სასუფევლის მოლოდინითღა იმშვიდებს თავს. ვარსქენი დაუნდობლად, ამბიციურად, ამპარტავნულად, ყველაზე ცუდი ფორმის გამოვლინებით ცდილობს ცოლისთვის „ჭკუის სწავლებას“, თუმცა ვერ ხვდება ერთს, რომ ხშირად ასეთი „ძალა“ სიძლიერე კი არა, შინაგანი უძლურების გამოხატულება უფროა. როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა: *„სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის „მე“, იქ უთუოდ უნებლიედ წარმოსდგება მონებაცა ერთისა მეორეზედ... უნდა დაივიწყო შენი „მე“ და შეერთდე იმის „მესთან“, მაშინ აღსრულდება მნიშვნელობა სიყვარულისა“.*

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ცოლქმრული ურთიერთობების უცნაური მოდელია წარმოდგენილი. ტექსტის ორ ეპიზოდში (აშოტ კურაპალატთანაც და ადარნერსესთანაც) ცოლების მიმართ ქმრები არ იჩენენ სიყვარულსა და მზრუნველობას. ერთი სიტყვით, ცოლები არ უყვართ ქმრებს, ღალატობენ მათ და სხვისი სიყვარულით არიან შეპყრობილი. ეს უთუოდ იმითაა განპირობებული, რომ მეფეებს პოლიტიკური ქორწინებები უფრო ჰქონდათ, ვიდრე ტრფიალებაზე დამყარებული კავშირები.

როცა ცოლ-ქმრის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, პირველობის ტიტულს, ალბათ, ჩვენი ლუარსაბი და დარეჯანი არავის დაუთმობენ. ვინ ჰყავდათ მათ ერთმანეთის გარდა? არავინ! და არც უნდოდათ... ისინი ერთმანეთს (თავისებურად) ართობდნენ, კამათობდნენ, ოხუნჯობდნენ, უაზროდ დავობდნენ, ანგარიშობდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ (სხვისას ხომ არა, თავიანთ ქონებას!), ჭორაობდნენ, ბაქიაობდნენ, ფართიფურთობდნენ... ერთი სიტყვით, ერთმანეთს შეჰხაროდნენ და სულს უბერავდნენ ერთსულ და ერთხორც გარდაქმნილნი. ისინი აქვე, დედამიწაზე, თავიანთ თავში წარმოქმნილ სამოთხეში ცხოვრობდნენ.

ლუარსაბისა და დარეჯანის ოჯახური იდილიისგან რადიკალურად განსხვავებული მოდელით ცხოვრობს აკაკის წყვილიც (პოემა „გამზრდელიდან“); მათ ერთმანეთის სიყვარულით ნამდვილად შეძლეს ამქვეყნიური სამოთხის შექმნა; ბათუსა და ნაზიბროლას ურთიერთობა სიყვარულის, თავდადების, ერთმანეთისთვის თავის მიძღვნის ეტალონადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. „მთის მწვერვალზე“, „ცის მახლობლად“ მცხოვრებ ცოლქმარს ერთმანეთი ყველაზე ბედნიერ წყვილად მიაჩნდა, სანამ წუთისოფლის სიამემ მათ სიყვარულსაც არ დარია ხელი. აკაკი წერეთელი საგანგებოდ არაფერს გვეუბნება მათ ოჯახურ ურთიერთობებში შექმნილ წვრილმანებზე. მისთვის ეს თემა თითქოს არც არის საინტერესო. რამდენიმე ხნის შეუღლებულნი თაფლობის თვის სიკეთით ტკბებიან, *„მაგრამ განა ეს სოფელი/გაახარებს ვისმე განა?!/თაფლში ურევს მწარე ნაღველს,/მტრისას მისი გამოცანა“.* მათ ცხოვრებაშიც გამოჩნდა საფარ-ბეგი, ანუ კარსმომდგარი უბედურება. საფარ-ბეგი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი წყვილის სიყვარულთან ჩასაფრებულ ბოროტებად, რომლისგანაც რთულია თავის დაღწევა. აკაკი წერეთელი ვერ იმეტებს მათ სიყვარულს სრული განადგურებისთვის და ბათუს ზემორალურ, არაადამიანურად მიმტევებლურ და გამგებ ბუნებას უსვამს ხაზს. ლევ ტოლსტოი წერდა, რომ ადამიანები ყველანაირ ქარტეხილებსა და სტიქიებს უძლებენ, მაგრამ უჭირთ და თითქმის ვერ ლახავენ „სანოლი ოთახის“ ტრაგედიას. ბათუმ ბიწი არ მოსცხო თავის სიყვარულს, წმინდა ლამპარივით ნალოლიავები გრძნობა ეჭვის ლაქებით არ გათხვარა, არ შელახა, არ შებილწა. ნაზიბროლა თავის ნამდვილ მეორე ნახევრად მიიჩნია და ამით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავსა და ღირსებას არ მიაყენა ჩრდილი.

როცა ვაჟა-ფშაველას ჯოყოლა გაკოჭილ-შეურაცხყოფილი მისიანებმა სახლის წინ დააგდეს, მისმა მოყვარულმა ცოლმა, აღაზამ, გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც დატოვა ქმარი და ზვიადაურს სასაფლაომდე მისდია. იცის აღაზამ, მართალია, თავისი ქმრის მეგობარი მარტო არ დატოვა, მაგრამ რაღაცას არასწორად მაინც აკეთებს; იცის ეს ქალმა და სხვანაირად მაინც ვერ იქცევა; საკუთარ სურვილს, ვნებებს თუ ინტერესს ვერ უმკლავდება და თემის, ძმის, საკუთარი თავის მოღალატე სამ ბალანს ააჭრის ზვიადაურს, თან იმ ქალს დანატრის, ვინც ამ ვაჟკაცის მკლავზე იწვა... აღაზას, თავისი ქმრის დამტოვებელს (მართალია, დროებით, მაგრამ მაინც) და სხვისი ქმრის დამტირებელს, ჯოყოლა სიყვარულითა და გაგებით ხვდება, არ ამუნათებს, არ ემდურება, არაფრისთვის არ კიცხავს; აკეთებს იმას, რასაც ძნელად თუ ვინმე შეძლებს. საინტერესოა, რომ არ დახოცილიყვნენ, როგორ წარიმართებოდა მათი ოჯახური იდილია? არასოდეს უსაყვედურებდა ჯოყოლა თავის ცოლს წუთიერ გაუგებრობას?

საოცარია, მაგრამ მთის მწერლებმა ქალების გრძნობები მეტად გააშიშვლეს. არც ყაზბეგი მორიდებია ძიძიას ემოციებისა და განცდების ჩვენებას, ქმრის მიმართ გულგრილობას და სიყვარულისთვის თავგანწირვას. გუგუა, სანამ ეს შესაძლებელი იყო, შეძლებისდაგვარად უთმენდა ცოლს, თუმცა ბოლოს სიკვდილით დაემუქრა მოღალატეებს – ცოლსაც და მეგობარსაც. ეს ბუნებრივი რეაქცია იყო გუგუასგან. ყაზბეგი რაყიფებს არ ახვედრებს ერთმანეთს, თუმცა ძალიან საინტერესო იქნებოდა სცენა, რომელშიც ონისე თავს გაიმართლებდა მეგობრის ცოლის სიყვარულის გამო...

ცას მოწყვეტილი ვარსკვლავია მარიტა, რომელიც „ყომრალი“ შეთეს ვაიკაცობის მსხვერპლია. ქმარმა ვერ დაიცვა (ან არ დაიცვა) „ბრონეულის ყვავილი“, ვერ მოუფრთხილდა, სხვის (სოფლის) გასაკიცხად და სათრევად გაიმეტა. რატომ თვითონ არ მოჰკითხა პასუხი მარიტასა და გედიას? იქნებ ეკითხა, მართალი იყო თუ არა ენაჭარტალა ბალბალუკასგან გაქეზებული ციციკორე? თუმცა რა უნდა ეკითხა?... მაშინ დგება დიალოგი, როცა ადამიანებს ერთმანეთის ენა ესმით. მათ შორის ხომ საერთო აღარაფერი იყო, გედიას მონათლული მათივე შვილის გარდა?! იქნებ ამიტომ ვერ ან არ დაიცვა შეთემ თავისი ცოლი?! საკითხავია, შეეძლო კი შეთესნაირ კაცს სიყვარული? *„სიყვარულის გარეშე ცხოვრება მარტივია, მაგრამ აზრი არ აქვს“* (ლევ ტოლსტოი). პარადოქსია, მაგრამ არც მარიტა გასძალიანებია ვინმეს. იქნებ, მარიტას აზრით, ასეთ ურთიერთობას ბოლო უნდა მოღებოდა? ვინ იცის, რა არის ბედნიერება?

იან ვან ეიკი. არნოლფინების ოჯახის პორტრეტი

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ოჯახური დრამა ზემოთ დასახელებულ ოჯახებთან შედარებით პიკს აღწევს. სამართლიანი იქნება თუკი შევნიშნავთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილამდე ასე ღრმად ქალისა და მამაკაცის განცდების, მათი ფსიქოლოგიური წიაღსვლების ანალიზი არავის მოუცია. „ნაკაცარი“ და „წიგნის ჭია“ თეიმურაზი მარგოში კლავს ყველა სასიცოცხლო ენერგიას, ქალურობას, სიკეკლუცეს... ქმრისთვის თავდადებული მარგო უწყლოდ დამჭკნარ ყვავილს დაემსგავსა, რომელიც საკუთარი თავის დაკარგვას ვეღარსად გაექცა. სწორედ თეიმურაზ ხევისთავის უნიათობამ ჩაუგდო მარგო კლანჭებში ჯაყოსნაირ ცხოველს. თეიმურაზს უმტკივნეულოდ წაართვა ჯაყომ ცოლი და ისედაც ნაკაცრად მყოფი უსახლკაროდ, სხვების მასხრად ასაგდებად, უუფლებო არარაობად და სათრევად აქცია. *„სამშობლო ოჯახიდან იწყება და, თუ ოჯახს მოუშლი კაცს, ცოლს გაუბახებ... მისთვის სამშობლო ჩვეულებრივ მიწა-წყლად იქცევა მხოლოდ, საძოვარ და სათეს ფართობად, რომელიც არსად არ იწყება და არც არსად მთავრდება, რადგან ცისქვეშეთში მიწა ყველგან მიწაა და წყალი ყველგან წყალია, მაგრამ იმას, ოჯახმოშლილს, ცოლგაბახებულს..., ქვეყნის მკვიდრი კი აღარ ჰქვია, არამედ მაწანწალა, რომლისთვისაც უკვე სულ ერთია, რომელ ცის ქვეშ, რომელ ჭიშკართან გამოუტანენ სამადლოდ ერთ ლუკმაპურსა და ერთ ყლუპ წყალს“* (ოთარ ჭილაძე, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“). ჯაყოს დახლიდარად ქცეული თეიმურაზი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ თავის ნაცოლარს შორიდან დაინახავდა და ერთი გოჯი სადგომიდან ძაღლივით კარში არ გაისვრიდნენ. რა საერთო უნდა ჰქონოდა ყაფლანიშვილის ქალს ტყიურ ჯაყო ჯივაშვილთან, ღირსეული ქმარი რომ ჰყოლოდა? ქალს არაფერი წაახდენს ისე, როგორც უნიათო, ცნობიერებით საჭურისი ქმარი.

ამგვარად, დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ ოჯახი ადამიანის სულის სავანე უნდა იყოს, რომელშიც ერთმანეთის გახარებისა და სიყვარულისთვის მზადმყოფი ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ. ოჯახი სიმართლეზე, ერთმანეთის ზრუნვაზე დამყარებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სივრცე უნდა იყოს, რათა ადამიანებმა თავი დააღწიონ ცხოვრებისეულ პრობლემებს, შურსა და ბოროტებას.

მაია მენთეშაშვილი

სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ՊՐՈՖԵՍԻՈՆԱԼ ԳԱՆՎԻՏԱՐԵԼԱ

ՊՐՈՖԵՍԻՈՆԱԼ ՈՒՆԱՐԵԼԻՈՒԹՅԱՆ ԳՆԱՀԱՏՄԱՆ ՀԱՄԱՐ ՕԳՏԱԳՈՐԾՎՈՂ ԴԱՍԱԼԱՍ, ՈՐՊԵՍԶԻ ՀԱՐՑ-ՊԱՏԱՍԽԱՆԻ ՁԵՎԱՉԱՓՈՎ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՎԱԾ

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

103. Uznadze davranışın neçə kateqoriyasını ayırır və onları necə əldə edir?

Uznadze davranışın iki əsas kateqoriyasını ayırır: eksterogen və introgen. **Eksterogen davranış** zamanı kənardan (əşyadan) impuls götürür və xaricdən müəyyən edilmiş əhval-ruhiyyə ilə aparılır. Davranışın xarici nifrətdən azad olduğunda orqanizmin daxilindən yaranır, onu Uznadze **introgen davranış** adlandırır.

104. Eksterogen və introgen davranış formalarını adlandırın:

Eksterogen davranış formalarıdır:

- ✓ istifadə;
- ✓ xidmət;
- ✓ əmək;
- ✓ iş.

İntrogen davranış formalarıdır:

- ✓ estetik məmuniyyət;
- ✓ incəsənət, yaradıcılıq;
- ✓ oyun;
- ✓ idman.

105. Davranışla münasibətdə Uznadze oyunu necə izah edir?

Uznadze oyunu uşağın davranışının xüsusi forması kimi hesab edirdi.

106. Oyunun əsasında nə durur?

Oyunun, bir davranış kimi əsasını məmuniyyət funksiyası təşkil edir, yəni oyunun əsas motivi uşaq üçün fəallıqlardan zövq almaqdır.

107. Uznadzeyə əsasən, "tərbiyə fəlakəti" nədən ibarətdir?

Tərbiyənin əsas fəlakətinin məğzini Uznadze növbəti qaydada izah edir: tərbiyə edən və tərbiyə olunanın canatmaları arasında uçurum ona görə yaranır ki, tərbiyə edən, sosial məqsədlərin daşıyıcısı kimi, tərbiyə edilənin gələcək firavanlığını rəhbər tutduğunu hesab etdiyinə baxmayaraq, həqiqətdə tərbiyə olunanın istəklərinə diqqət vermir, şagirdlərin fərdi xüsusiyyətlərini nəzərə almır və fərdi motivlərini rəhbər tutur; tərbiyə edənin fikrincə, tərbiyə olunan üçün firavanlıq hesab edilən bir çox hallarda əziyyətli hesab edilir.

108. Uznadzeyə əsasən, "tərbiyə fəlakətinin" qarşısının alınması strategiyası nədən ibarətdir?

„Tərbiyə fəlakətinin" qarşısının alınmasında həlledici rolu müəllim yerinə yetirir və o da "**empirik səthdən insanın mahiyyətinə çatmağa**" çalışır, yəni ağrısız olaraq sosial xarakterli məqsədləri uşağın təbii inkişafı istiqamətinə uyğunlaşdırsın.

109. Uznadzeyə əsasən, əhval-ruhiyyə nəyi təqdim edir?

Uznadzeyə əsasən, əhval-ruhiyyə müəyyən davranışa olan insanın tam şəxsi hazırlığını təqdim edir.

"**Canlı məxluqun hər hansı bir davranışa müraciət etməsinə qədər, onun artıq bu davranışı əhval-ruhiyyə şəklində verilmişdir**". Əhval-ruhiyyə anlayışının mahiyyətini Uznadze fərdin məqsədəuyğun davranışın analizindən irəli gələrək izah edir:

insanın davranışını müəyyən edən nədir?

Nəyinsə qıtlığını nəzərdə tutan tələbat. Tələbat davranışın həyata keçirilməsi üçün vacib olan subyektiv, amma ki yetərli amildir.

110. Uznadzenin konsepsiyasını sinif otağında necə istifadə edək?

Müəllim növbəti addımları atmalıdır:

- ✓ şagirddə əhval-ruhiyyə yaratmalıdır;
- ✓ materialı şagirdə uyğunlaşdırmalıdır/aktual səviyyə + irəliləyiş;
- ✓ şagirdin təliminə yönəlmiş sinif mühitini yaratmalıdır.

111. Şagirdin əhval-ruhiyyəsini necə yaradaq?

Təlimə olan müsbət əhval-ruhiyyənin yaradılması, ilk növbədə, dərs prosesinin effektivliyini nəzərdə tutur, yəni tam fərdi hazırlığı ki, bu da şagirdin fəallığa cəlb

ՄՆԻՇՎԵԼՈՎԱՆԻ ՀԱՐՑԵՐ ՊԱՏԱՍԽԱՆՆԵՐՈՎ

ՍՎԱՎԼՈՒՄԻ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

103. Ուզնաձեի վարքի քանի՞ կարգ է առանձնացնում Ուզնաձեն և ինչպե՞ս է նկարագրում դրանք:

Ուզնաձեն վարքի երկու հիմնական կարգ է առանձնացնում. էքստերոգեն և ինտրոգեն: **Էքստերոգեն է վարքը**, երբ այն խթանը դրսից է ստանում (առարկայից), և ընթանում է դրսից սահմանված տրամադրվածությամբ: Երբ վարքն ազատ է արտաքին հարկադրումից, օրգանիզմի ներսից է բխում, այն Ուզնաձեն **ինտրոգեն** է կոչում:

104. Անվանե՛ք էքստերոգեն և ինտրոգեն վարքի ձևեր.

Էքստերոգեն վարքի ձևեր են.

- ✓ սպառումը,
- ✓ ծառայությունը,
- ✓ աշխատանքը,
- ✓ գործը:

Ինտրոգեն վարքի ձևեր են.

- ✓ գեղագիտական հաճույքը,
- ✓ արվեստը, ստեղծագործելը,
- ✓ խաղալը,
- ✓ սպորտը:

105. Վարքի հետ կապված՝ ինչպե՞ս է Ուզնաձեն բացատրում խաղը:

Ուզնաձեն խաղը համարում է երեխայի վարքի սպեցիֆիկ ձև:

106. Ի՞նչ է դրված խաղի հիմքում:

Խաղի, ինչպես նաև վարքի, հիմքում դրված է գործառնության հաճույքը, կամ խաղի հիմնական դրդապատճառը երեխայի համար հաճույք ստանալն է:

107. Ըստ Ուզնաձեի, ինչո՞ւմ է կայանում «դաստիարակության ողբերգությունը»:

Դաստիարակության հիմնական ողբերգության էությունը Ուզնաձեն բացատրում է հետևյալ կերպ. դաստիարակի և սանի նկրտումների միջև անդունդ է առաջանում, որովհետև դաստիարակը, որպես սոցիալական նպատակներ կրող, չնայած համարում է, որ սանի ապագան առաջնորդվում է բարեկեցությամբ, իրականում ուշադրություն չի դարձնում սանի ցանկություններին, չի նախատեսում աշակերտների անհատական առանձնահատկությունները և առաջնորդվում է սեփական շարժառիթներով: Այն, ինչը դաստիարակի կարծիքով բարեկեցություն է, սանի համար հաճախ տանջանքի է վերածվում:

108. Ըստ Ուզնաձեի, ինչո՞ւմ է կայանում «դաստիարակության ողբերգության» հաղթահարմար ռազմավարությունը:

«Դաստիարակության ողբերգության» հաղթահարման մեջ որոշիչ դեր է կատարում ուսուցիչը, որն ի վիճակի է «**էմպիրիկ մակերևույթից թափանցել մարդու էության մեջ**», այսինքն՝ առանց ցավի համապատասխանեցնել սոցիալական բնավորության նպատակները երեխայի բնական զարգացման ուղղությանը:

109. Ըստ Ուզնաձեի, ի՞նչ է իրենից ներկայացնում տրամադրվածությունը:

Ըստ Ուզնաձեի, տրամադրվածությունը հանդիսանում է մարդու ամբողջական անձնային պատրաստակամություն որոշակի վարքի նկատմամբ: «**Մինչև կենդանի արարածը դիմի որևէ վարքի, նա արդեն այս վարքն ունի տրված տրամադրվածքության տեսքով**»: Տրամադրվածության հասկացության բովանդակությունն Ուզնաձեն բացատրում է՝ ելնելով անհատի նպատակաուղղված վարքի վերլուծությունից. **Ի՞նչն է սահմանում մարդու վարքը**: Պահանջարկը, որը ենթադրում է ինչ-որ բանի պակաս: Պահանջարկն այն սուբյեկտիվ , սակայն ոչ բավարար գործոնն է, որն անհրաժեշտ է վարքի իրականացման համար:

110. Ինչպե՞ս օգտագործենք Ուզնաձեի հայեցակարգը դասասենյակում:

Մանկավարժը պետք է կատարի հետևյալ քայլերը.

- ✓ աշակերտի մոտ տրամադրվածություն ստեղծի,
- ✓ հարմարեցնի նյութն աշակերտին /հրատապ մակարդակ +առաջընթաց,
- ✓ ստեղծի աշակերտի սովորելուն կողմնորոշված դասարանական միջավայր:

111. Ինչպե՞ս ստեղծենք աշակերտի մոտ տրամադրվածություն:

Սովորելու նկատմամբ դրական տրամադրվածության ստեղծումը նախ՝ ենթադրում է ուսումնական գործընթացի արդյունավետություն կամ ամբողջական անձնային պատրաստակամություն, որը սահմանում է ակտիվության մեջ աշակերտի ներգրավում: Եթե նոր

პროფესიული განვითარება

olunmasını müəyyən edir. Yeni fəallığa qarşı (diskussiya, yeni tipdə testlər) şagirdlər arasında müsbət emosional yanaşmanı yaratdığınız halda, nəticə mütləq müsbət olacaqdır. **Unutmayın ki, şagirdin inkişafı yalnız fəallıq prosesində mümkündür.**

112. Materialı şagirdə necə uyğunlaşdıraq /aktual səviyyə + irəliləyiş?

Dərs materialının şagirdin əhval-ruhiyyəsinə, onun əməli əhval qüvvələrinə necə uyğunlaşdırmağın böyük əhəmiyyəti vardır. **Material**,bir tərəfdən, şagirdin qüvvələrinin inkişafının aktual səviyyəsi üçün uyğun olmalıdır; digər tərəfdən isə ondan kifayət qədər aralı olmalıdır. **Uşağın inkişafı mənimsənilən və mənimsənilməyən materialın aşağı və yuxarı pillələr olduğu pilləkana əsaslanır**.

113. Şagirdin təlimə yönəlmiş sinif mühitini necə yaradaq?

Sinif otağında uşağın inkişafı üçün müvafiq mühiti yaradın. Unutmayın ki, şagirdə yönəlmiş tədris, birinci növbədə, şagirdlərin maraqları və istəklərinin nəzərə alınmasını bildirir. **Unutmayın ki, uşağın inkişafı onun maraqları və istəklərinə əsaslanır.**

114. Blyum taksonomiyası insanın fəallığının hansı sahələrini təsvir edir?

Blyum taksonomiyası insanın üç fəallıqlarını təsvir edir:

✓ koqnitik (əqli): intellektual imkanlar, bilik;

✓ düşüncə;

✓ affektiv (emosional): hisslər, emosiyalar, əhval-ruhiyyələr;

✓ psixi-hərəki: fiziki bacarıqlar və vərdişlər.

Blyumun əsasında səviyyələrin təsviri necədir?

I səviyyə – bilik: konkret mövzunun izahatı zamanı müəllim yeni qaydaları, anlayışı izah edir və ya şagirdlərə yeni faktları çatdırır.

II səviyyə – anlayış: Blyum konsepsiyasına əsasən, şagirdlər arasında konkret mövzunun biliyi kifayət etmir, müəllim anlayışı, qaydanı və ya faktı izah etməlidir ki, onları müvafiq əyani materialla tanış etməli və şagirdlər üçün aydın dildə yeni məlumatı yekunlaşdırmalıdır.

III səviyyə – istifadə: müəllim şagirdlərə tapşırır ki, kəsrlərin toplanılma qaydasının istifadəsi ilə kəsrləri toplasınlar, xəritə əfsanəsinin istifadəsi ilə xəritəni oxusunlar, qrammatik qaydanın istifadəsi ilə mətnə durğu işarələrini yerləşdirsinlər.

IV səviyyə – analiz: yeni məlumat çatdırıldıqdan sonra müəllim konkret mövzu üzərində müzakirələr apardıqda məsələnin müxtəlif tərəfini ayıra və onları bir-biri ilə müqayisə edə bilər vəya prosesi elementlərə bölə bilər, yaxud da şagirdlərə eksperiment keçirdə bilər. Eləcə də müəllim şagirdlərə tapşırır ki, məsələ ilə bağlı müxtəlif faktları, nəzərləri axtarıb tapsınlar, onlar arasında fərqi, oxşarlıqları qeyd etsinlər, onların zəif və güclü tərəflərini analiz etsinlər.

V səviyyə – sintez: müəllim şagirdlərə öyrənilən faktların, qaydaların və ya nəzəriyyənin əsasında konkret problemin həlli yollarını düşünsünlər, mülahizələri işləyib hazırlasınlar və onların düzəliş yollarını qarşıya qoysunlar.

VI səviyyə – qiymətləndirmə: yeni materialın izahatından sonra müəllim diskussiyanı planlaşdırır ki, burada da şagirdlərlə birlikdə öyrənilən nəzəriyyənin və ya yanaşmanın praktiki və nəzəri tərəflərini təhlil edir və onlardan xahiş edir ki, bu nəzəriyyənin və ya yanaşmanın məhsuldarlığının, praktiki istifadəsinin, zidd faktların qiymətləndirilməsi üçün sübutlar gətirsinlər.

115. Velosiped sürmə vərdişinin mənimsənilməsi pillələri necədir?

İmitasiya: uşaq başqasının əməlinə baxır və onu təkrar etməyə çalışır, velosipedə oturma, sükanı düzgün tutmaq, pedalları hərləmək;

manipulyasiya: uşaq yadına salır ki, velosipeddə necə otursun, əllərini sükandan necə tutsun, müəllimin yardımı ilə velosipedi sürməyə çalışır.

Sonra müəllim şifahi göstərişlə yardım edir: ”Sükanı düzgün saxla, ayağını bir az yana çək və s.”.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.

112. როგორ მოვარგოთ მასალა მოსწავლეს /აქტუალური დონე + წინსვლა?

დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. **მასალა**, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის; მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. **ბავშვის განვითარება დაფუძნებულია იმ კიბეზე, სადაც ათვისებული და აუთვისებელი მასალა ქვედა და ზედა საფეხურებია.**

113. როგორ შევქმნათ მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებული საკლასო გარემო?

საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს. **გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მის ინტერესებსა და სურვილებზეა დაფუძნებული.**

114. ადამიანის აქტივობის რა სფეროებს აღწერს ბლუმის ტაქსონომია?

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

✓ კოგნიტურს (შემეცნებითს): ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა;

✓ აზროვნება;

✓ აფექტურს (ემოციურს): გრძნობები, ემოციები, განწყობები;

✓ ფსიქომოტორულს: ფიზიკური უნარები და ჩვევები.

როგორია ბლუმის მიხედვით დონეების აღწერა?

I დონე – ცოდნა: კონკრეტული თემის ახსნისას მასწავლებელი განმარტავს ახალ წესებს, ცნებას ან მიაწვდის ახალ ფაქტებს მოსწავლეებს.

II დონე – გაგება: ბლუმის კონცეფციის თანახმად, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა აითვისონ კონკრეტული თემა, ცოდნა არ არის საკმარისი, მასწავლებელმა უნდა ახსნას ცნება, წესი ან ფაქტი, გააცნოს მათ შესაბამისი თვალსაჩინო მასალა და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით შეაჯამოს ახალი ინფორმაცია.

III დონე – გამოყენება: მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, წილადების შეკრების წესის გამოყენებით, შეკრიბონ წილადები, რუკის ლეგენდის გამოყენებით – წაიკითხონ რუკა, გრამატიკული წესის გამოყენებით – დასვან ტექსტში სასვენი ნიშნები.

IV დონე – ანალიზი: მას შემდეგ, რაც მიწოდებულია ახალი ინფორმაცია, მასწავლებელმა, კონკრეტულ თემაზე მსჯელობისას, შეიძლება გამოყოს საკითხის სხვადასხვა მხარე და ერთმანეთს შეადაროს ისინი, ან პროცესი დაშალოს ელემენტებად, ან კიდევ – მოსწავლეებს ჩაატარებინოს ექსპერიმენტი. ასევე, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ და შეადარონ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტი, შეხედულება, დაიფიქსირონ მათ შორის განსხვავება, მსგავსება, გააანალიზონ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები.

V დონე – სინთეზი: მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს შესწავლილი ფაქტების, წესებისა თუ თეორიის საფუძველზე, მოიფიქრონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზები, შეიმუშავონ ჰიპოთეზები და დასახონ მათი შემოწმების გზები.

VI დონე – შეფასება: ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს დისკუსიას, სადაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შესწავლილი თეორიის ან მიდგომის პრაქტიკულ და თეორიულ მხარეებს და სთხოვს მათ, მოიყვანონ არგუმენტები ამ თეორიის თუ მიდგომის შედეგიანობის, პრაქტიკული გამოყენების, წინააღმდეგობრივი ფაქტების შესაფასებლად.

115. როგორია ველოსიპედის ტარების ჩვევის ათვისების საფეხურები?

იმიტაცია: ბავშვი უყურებს სხვის მოქმედებას და ცდილობს გაიმეოროს ის – ველოსიპედზე დაჯდომა, საჭის სწორად დაჭერა, პედლების ტრიალი;

მანიპულაცია: ბავშვი იხსენებს, როგორ უნდა დაჯდეს ველოსიპედზე, როგორ უნდა მოჰკიდოს ხელები საჭეს, მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ველოსიპედის მართვას. შემდეგ მასწავლებელი სიტყვიერი მითითებით ეხმარება: „საჭე სწორად გეჭიროს, ფეხი ცოტა განზე გაწიე და ა.შ.“

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ակտիվության նկատմամբ (քննարկում, նոր տիպի թեստեր) աշակերտների մոտ ստեղծեք դրական հուզական տրամադրվածություն, արդյունքն անպայման դրական կլինի: **Հիշե՛ք, որ երեխային միայն ակտիվության ընթացքում է հնարավոր զարգացնել**:

112. Ինչպե՞ս հարմարեցնենք նյութը աշակերտին/ հրատապ մակարդակ +առաջընթաց:

Մեծ նշանակություն ունի, թե ինչպե՞ս կհամապատասխանեցնեք ուսումնական նյութն աշակերտի տրամադրվածությանը, նրա՝ գործելու համար տրամադրված ուժերին: **Նյութը** մի կողմից՝ պետք է համապատասխան լինի աշակերտի զարգացման հրատապ մակարդակին, մյուս կողմից՝ այն բավական չափով պետք է նաև հեռացած լինի նրանից: **Երեխայի զարգացումը հիմված է այն աստիճանի վրա, որտեղ յուրացված և չյուրացված նյութը ստորին և վերին աստիճաններն են:**

113. Ինչպե՞ս ստեղծենք աշակերտի սովորելուն կողմնորոշված ուսումնական միջավայր:

Դասասենյակում ստեղծե՛ք երեխայի զարգացմանը համապատասխան միջավայր: Հիշե՛ք, որ աշակերտակենտրոն ուսուցումը, նախ՝ ենթադրում է աշակերտների շահերի և ցանկությունների նախատեսում: **Հիշե՛ք, որ երեխայի զարգացումը հիմված է նրա շահերի և ցանկությունների վրա:**

114. Մարդու ակտիվության ո՞ր բնագավառներն է նկարագրում Բլումի տաքսոնոմիան:

Բլումի տաքսոնոմիան մարդու ակտիվության երեք բնագավառ է նկարագրում.

✓ իմացական (ճանաչողական). մտավոր հնարավորություններ, գիտելիք,

✓ մտածողություն,

✓ աֆեկտային (հուզական). զգացմունքներ, հույզեր, տրամադրվածություններ,

✓ հոգեշարժողական. ֆիզիկական կարողություններ ու հմտություններ:

Ինչպիսի՞ն է ըստ Բլումի մակարդակների նկարագիրը:

I մակարդակ՝ իմանալ. կոնկրետ թեմա բացատրելիս՝ ուսուցիչը բացատրում է նոր կանոններ, հասկացություններ և աշակերտներին տրամադրում նոր փաստեր:

II մակարդակ՝ հասկանալ. համաձայն Բլումի հայեցակարգի, որպեսզի աշակերտները յուրացնեն կոնկրետ թեմա, իմանալը բավական չէ, ուսուցիչը պետք է բացատրի հասկացությունը, կանոնը կամ փաստը, ծանոթացնի նրանց համապատասխան դիդակտիկ նյութը և աշակերտների համար հասկանալի լեզվով ամփոփի նոր տեղեկատվությունը:

III մակարդակ՝ օգտագործել. ուսուցիչն աշակերտներին հանձնարարում է կոտորակները գումարել՝ օգտագործելով կոտորակների գումարման օրենքը, կարդալ քարտեզը՝ քարտեզի բացատրությունների օգտագործմամբ, տեքստում կետադրական նշաններ դնել՝ քերականական կանոնների օգտագործմամբ:

IV մակարդակ՝ վերլուծել. նրանից հետո, երբ փոխանցված է նոր տեղեկությունը, ուսուցիչը, կոնկրետ թեմայի վերաբերյալ դատողություն անելիս, կարող է առանձնացնել հարցի տարբեր կողմեր և իրար համեմատել դրանք, կամ գործընթացը բաժանել տարրերի, կամ աշակերտներին փորձ անցկացնել տա: Ուսուցիչն աշակերտներին հանձնարարում է նաև գտնել և համեմատել հարցի հետ կապված տարբեր փաստեր, հասկացություններ, արձանագրել նրանց միջև տարբերություն,

V մակարդակ՝ համադրել. ուսուցիչը հանձնարարում է աշակերտներին ուսումնասիրած փաստերի, կանոնների և տեսության հիման վրա մտածել կոնկրետ խնդրի լուծման ուղիներ, կազմել վարկածներ և նախանշել դրանց ստուգման ուղիներ:

VI մակարդակ՝ գնահատել. նոր նյութը բացատրելուց հետո, ուսուցիչը պլանավորում է քննարկում, որտեղ աշակերտների հետ մեկտեղ քննարկում է ուսումնասիրած տեսության կամ մոտեցման գործնական և տեսական կողմերը և խնդրում նրանց բերել փաստարկներ այս տեսության կամ մոտեցման օգտակարության, գործնական կիրառման, հակասական փաստերի գնահատման համար:

115. Ինչպիսի՞ն են հեծանիվ վարելու հմտության յուրացման աստիճանները:

Նմանակում. երեխան նայում է ուրիշի գործողությանը և փորձում կրկնել այն՝ հեծանիվ նստել, ղեկը ճիշտ բռնել, ոտնակները պտտել:

Մանիպուլյացիա. երեխան մտաբերում է, թե ինչպես պետք է նստի հեծանիվ, ինչպես պետք է բռնի ղեկը, ուսուցչի օգնությամբ փորձում է վարել հեծանիվը: Այնուհետև ուսուցիչը բառային ցուցումով օգնում է. «Ղեկը ուղիղ բռնի՛ր, ոտքդ մի փոքր կողքի քաշի՛ր և այլն»:

Թարգմանությունը՝ **Զոյա Մխիթարյանի**

სამოდელო გაკვეთილი

სამოდელო გაკვეთილის გეგმა ბუნებაში

გაკვეთილის ტიპი: *გამჭოლი – წიგნიერების და სემიოტიკური – კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული.*

ავტორი: ნათია დარჩია

თემა	მოგზაურობა კოსმოსში
სასწავლო საკითხები	კოსმოსი, პლანეტა, ვარსკვლავი, მთვარე, გალაქტიკა.
მიზანი და შედეგი	მოსწავლემ გააცნობიეროს რა არის კოსმოსი, გალაქტიკა, მზის სისტემა, პლანეტები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, როგორ ხდება კოსმოსის შესწავლა.
ესგ-ის შედეგი მისაღწევი შედეგის ინდიკატორები	**ბუნ.IV.8. მოსწავლეს შეუძლია მზის სისტემის აღწერა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • იყენებს ილუსტრაციებს და ახასიათებს მზის სისტემას (*მაგ., პლანეტების სიდიდე, დაშორება მზიდან*); • ხატავს პლანეტებს და თანმიმდევრულად განალაგებს მზიდან დაშორების მიხედვით; • აღწერს აღჭურვილობასა და სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ კოსმონავტები.
მოდელირების მიზანი/მეთოდური სიახლე	მოტივაციის ამაღლებისა და განწყობის შექმნის მიზნით, მოსწავლეთა მიერ, თემასთან დაკავშირებული წინასწარი „კვლევის“ ჩატარება, კვლევის შედეგების პრეზენტაციის მომზადება Power Point-ში. დემონსტრირება იმისა, სწორი დაგეგმვისა და სწავლების თანამედროვე, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, როგორ მოახერხებს მოსწავლე, თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს; გამოუმუშავდეს მსჯელობის, ანალიზის, გამოცდილების გამოყენების, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის დამუშავებისა და პრობლემათა გადაჭრის უნარები.
სწავლების საფეხური	IV კლასი.
მოსწავლეთა პროფილი	კლასში 28 მოსწავლეა. სწავლების ჩვეულებრივი ტემპი ყველასთვის მისაღებია.
საჭირო დრო	45 წუთი – 1 გაკვეთილი.
წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები	• მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმაზე მსჯელობა; • ადარებს სხვადასხვა ხალხის ადრინდელ წარმოდგენებს დედამიწის ფორმის შესახებ; აანალიზებს ინფორმაციას მოგზაურებზე, მსჯელობს ამ მოგზაურების წვლილზე დედამიწის ფორმის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში; • არჩევს წყალსა და ხმელეთს გლობუსსა და რუკაზე. საუბრობს კონტინენტებსა და მსოფლიო ოკეანეზე.
აქტივობები	1. საორგანიზაციო საკითხის მოგვარება. 2. ანიმაციური ფილმის „გამარჯობა დედამიწა“ ჩვენება. 3. კლასთან ერთობლივი ინტერაქცია-კითხვების დასმა. 4. ტექსტის კითხვა-გაანალიზება. 5. პატარა მკვლევრები – პრეზენტაციები: 1. კოსმოსის კვლევა. 2. საინტერესო ცნობები კოსმოსის შესახებ. 6. ჯგუფური მუშაობა. 7. ნამუშევრების პრეზენტაცია. 8. შესწავლილი მასალის შეჯამება.
საგანმანათლებლო რესურსები	სახელმძღვანელო, პროექტორი, ეკრანი, ფლიპჩარტები, მარკერები, ფერადი ფანქრები, პლასტილინი, რუკა, გლობუსი.

შეფასების საგანი და პროცედურები

კრიტერიუმები	კარგი	საშუალო	დამაკმაყოფილებელი
მსჯელობს კოსმოსის, გალაქტიკის, მზის სისტემის შესახებ.	აცნობიერებს რა არის კოსმოსური სივრცე. იცის და განალაგებს მზის სისტემის პლანეტებს მზიდან დაშორების მიხედვით.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.
ამჟღავნებს ცოდნას მზის, მთვარის, ვარსკვლავების შესახებ.	სწორად საუბრობს, რა იცის მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.
ამჟღავნებს ცოდნას კოსმოსის კვლევის შესახებ.	სწორად საუბრობს, როგორ ხდება კოსმოსის შესწავლა, კოსმოსურ ხომალდებსა და კოსმონავტთა აღჭურვილობაზე.	საჭიროებს დამატებით მუშაობას უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით.	საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას.

მოსწავლის თვითშეფასება

რა ვისწავლე?	
რა არის ჩემი წარმატების მიზეზი?	
რა ვერ გავიგე, ვის მივმართავ დასახმარებლად?	

გაკვეთილის მსვლელობა

A ფაზა – გამოწვევა (9წთ)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები
საორგანიზაციო საკითხის მოგვარება; გაკვეთილის თემისა და მიზნის, შეფასების რუბრიკების წარდგენა.	მოსწავლეთა მობილიზება საგაკვეთილო პროცესისთვის.	1წთ.	საკლასო.	ჟურნალი, კალმისტარი, დაფა, ცარცი, შეფასების რუბრიკის ბარათები.

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
ანიმაციური ფილმის „გამარჯობა დედამიწა“ ჩვენება.	მოტივაციის ამაღლება, განწყობის შექმნა.	3წთ.	მთელ კლასთან მუშაობა.	ფილმი.	დაკვირვება.

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
კლასთან ერთობლივი ინტერაქცია-კითხვების დასმა.	შესწავლილი მასალის გააქტიურება.	5წთ.	მთელ კლასთან მუშაობა.	შესწავლილი მასალა.	დაკვირვების საფუძველზე განმავითარებელი შეფასება.

1. რა არის დედამიწა? (პლანეტა);
2. რა იყო ცნობილი თქვენთვის ამ ფილმიდან? (დედამიწა არის ერთადერთი პლანეტა, რომელზეც სიცოცხლეა, მზისგან დაშორებით მესამე პლანეტაა, კონტინენტები, ოკეანეები);
3. რა სჭირდება ცოცხალ ორგანიზმს არსებობისთვის? (წყალი, ჰაერი, საკვები, სინათლე, სითბო);
4. ჩამოთვალეთ და აჩვენეთ რუკაზე კონტინენტები, რომელ კონტინენტზე ვცხოვრობთ ჩვენ? (ევრაზია, ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია, ანტარქტიდა. ჩვენ ვცხოვრობთ ევრაზიის კონტინენტზე);
5. რა არის მსოფლიო ოკეანე? ჩამოთვალეთ და აჩვენეთ რუკაზე დედამიწაზე არსებული ხუთივე ოკეანე (დედამიწაზე არსებულ წყლის უდიდეს სივრცეს ოკეანე ჰქვია. ეს ოკეანეებია: წყნარი, ატლანტის, ინდოეთის, ჩრდილოეთ ყინულოვანი და სამხრეთის);
6. როგორი იყო ძველი ხალხის წარმოდგენები დედამიწის შესახებ? (ძველი ინდოელები ფიქრობდნენ, რომ დედამიწა ბრტყელი იყო და გიგანტური სპილოების ზურგს ეყრდნობოდა; ბაბილონელებს მთასავით აზიდულ და წყლით გარშემორტყმულ არედ მიაჩნდათ. ბერძენმა მათემატიკოსმა პითაგორამ პირველმა ივარაუდა, რომ დედამიწა მრგვალია, მაგრამ ფიქრობდა, რომ უძრავია და მზე და პლანეტები მის ირგვლივ მოძრაობენ; ასევე, არისტოტელე და პტოლემე დედამიწას სამყაროს ცენტრად მიიჩნევდნენ. პოლონელი მეცნიერი კოპერნიკი ამტკიცებდა, რომ სამყაროს ცენტრი მზეა, დედამიწა და სხვა პლანეტები მის გარშემო მოძრაობენ. პორტუგალიელი მეცნიერის – ფერნანდო მაგელანის (1480-1521) ხელმძღვანელობით, ჩატარდა პირველი საზღვაო მოგზაურობა დედამიწის გარშემო. ექსპედიცია, რომელიც ესპანეთიდან დასავლეთით გაემგზავრა, უკან აღმოსავლეთიდან დაბრუნდა. ამ მოგზაურობით დამტკიცდა, რომ დედამიწა სფეროს ფორმისაა და არსებობს ერთიანი მსოფლიო ოკეანე. (აჩვენებენ რუკაზე).

B ფაზა – შინაარსის რეალიზება (20 წთ)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები
ტექსტის „მოგზაურობა კოსმოსში“ კითხვა.	წინარე და ახალი ცოდნის დაკავშირება, გაანალიზება.	5წთ.	საკლასო	სახელმძღვანელო

1. რა არის კოსმოსი? (კოსმოსი იგივე სამყაროა, უსასრულო სივრცეა);
2. რას მოიცავს კოსმოსი? (კოსმოსი შედგება მილიარდობით გალაქტიკებისაგან – ვარსკვლავების, პლანეტების და სხვა კოსმოსური ობიექტების გიგანტური გროვისგან);
3. რომელ გალაქტიკას მიეკუთვნება ჩვენი მზის სისტემა? („ირმის ნახტომს“);
4. ჩამოთვალეთ მზის სისტემის პლანეტები (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი. მე-9 პლანეტას – პლუტონს – 2006 წელს, ჯუჯა პლანეტის სტატუსი მიანიჭეს);
5. რაზე მოძრაობენ პლანეტები? (საკუთარ უხილავ გზაზე – ორბიტაზე; ზოგიერთ პლანეტას ჰყავს თანამგზავრი, რომელიც ქვის ბურთია და მის გარშემო ბრუნავს. დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრია მთვარე);
6. საიდან მოიპოვეს ადამიანებმა ეს ცოდნა? (კოსმოსის კვლევის შედეგად);
7. ვინ იკვლევს კოსმოსს? (მეცნიერები);
8. თქვენი აზრით შეუიარაღებელი თვალით აკვირდებიან კოსმოსურ ობიექტებს თუ ხელსაწყოთი? რა ჰქვია ამ ხელსაწყოს?
9. ხომ არ იცით, რისი საშუალებით დაფრინავენ კოსმოსში?
10. თქვენი აზრით, რატომ აცვიათ კოსმონავტებს სპეციალური ტანსაცმელი?

როგორ და რისი საშუალებით იკვლევენ კოსმოსს – რომ გავიგოთ და შევადაროთ ჩვენს ვარაუდებს, წარმოგიდგენთ პრეზენტაციას.

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
პრეზენტაცია თემაზე: კოსმოსის კვლევა.	მოსწავლეებში კვლევის უნარების გამომუშავება. მოტივაციის ამაღლება.	5წთ.	ინდივიდუალური.	მასწავლებელი, მშობლები, ინტერნეტი.	განმავითარებელი.

რა გაიგეთ ახალი?

ძველი და ახალი ცოდნის საფუძველზე, შექმენით საინფორმაციო ტექსტები, თხზულება და ჩანახატები, რათა ვიმოგზაუროთ კოსმოსში.

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
საინფორმაციო ტექსტის შექმნა შესწავლილ საკითხებზე.	შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.	10წთ ..	ჯგუფური.	სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები, მარკერები.	განმავითარებელი.

I ჯგუფი – დედამიწა;
II ჯგუფი – მზე და ვარსკვლავები;
III ჯგუფი – მთვარე;
IV ჯგუფი – კოსმოსი;
V ჯგუფი – მზის სისტემა;
VI ჯგუფი – თამაში „გავშიფროთ ბარათები“;
VII ჯგუფი – ჩანახატი თემაზე „მოგზაურობა კოსმოსში“. რას მოინახულებდით? რით გაემგზავრებოდით? ვისთან ერთად იმოგზაურებდით? რას წაიღებდით თან?

C ფაზა – რეფლექსია-შეჯამება-გამთლიანება (16წთ)

აქტივობა	მიზანი	დრო	ორგანიზაციის ფორმა	რესურსები	შეფასება
ნამუშევრების პრეზენტაცია.	ცოდნის დემონსტრირება.	14წთ.	ჯგუფური.	მოსწავლეთა ნამუშევრები, მაგნიტები.	განმავითარებელი.

I ჯგუფი – დედამიწა

დედამიწა პლანეტაა. ის ერთადერთი პლანეტაა მზის სისტემაში, რომელზეც სიცოცხლეა შესაძლებელი. მზისგან დაშორების მიხედვით ის მესამე, ხოლო სიდიდით მეხუთე პლანეტაა. დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო და თავისი ღერძის გარშემო. მზის გარშემო შემოვლას ის ერთ წელიწადს ანდომებს, ხოლო თავისი ღერძის გარშემო – ერთ დღე-ღამეს. მას გარს ჰაერი აკრავს, რომლითაც ვსუნთქავთ და მზის სიცხისგანაც გვიფარავს. ჰაერის რხევით ბგერა წარმოიქმნება და ჰაერში გადაადგილებით ჩვენს ყურამდე აღწევს. ჰაერი რომ არ იყოს, ვერაფერს გავიგონებდით. მთვარეზე, სადაც ჰაერი არ არის, სრული სიჩუმეა, არანაირი ხმა არ ისმის. დედამიწა ერთადერთი პლანეტაა, რომელზეც წყალი სითხის სახითაა. ჰაერი, წყალი, სინათლე და სითბო შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს დედამიწაზე. თავისი ღერძის გარშემო ბრუნვისას მისი ის მხარე, რომელიც მზეს უყურებს, განათებულია, ხოლო მეორე – ჩაბნელებული, სწორედ ამიტომ არსებობს დღე და ღამე. დედამიწა მრგვალია.

II ჯგუფი – მზე და ვარსკვლავები

მზე ვარსკვლავია. ის იმდენად დიდია, რომ მილიონ დედამიწას დაიტევდა. დედამიწაზე სიცოცხლე იმიტომაა შესაძლებელი, რომ სწორედ საჭირო მანძილითაა დაშორებული მზისგან, რის გამოც წყალი სითხის სახით არსებობს და არა მხოლოდ ყინულის ან აირის სახით. მზის სხივებს სინათლე და სითბო მოაქვს დედამიწაზე.

ვარსკვლავები სხვადასხვა ზომისაა და როცა ღამით ცას ვუყურებთ, მილიონობით შორეულ

სამოდელო გაკვეთილი

მზეს ვხედავთ. ვარსკვლავი იმიტომ ჩანს პაწაწინა, რომ ძალიან შორსაა. ჩვენი მზეც რომ ასე შორს იყოს, ისიც პატარა ვარსკვლავივით გამოჩნდებოდა. ვარსკვლავები ცაში გროვებად არიან თავმოყრილი, ასეთ ვარსკვლავთა ჯგუფებს თანავარსკვლავედები ჰქვია. ცაზე სულ 88 თანავარსკვლავედია.

III ჯგუფი – მთვარე (სამი ფაზა – ჩანახატი)
მთვარე ქვის დიდი ბურთია, რომელიც დედამიწის გარშემო ბრუნავს. ის დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრია. მთვარეზე არც წყალია, არც ჰაერი და არც სიცოცხლე. ის ერთადერთი ციური სხეულია მზის სისტემაში, რომელზედაც ადამიანებმა მოახერხეს დაჯდომა 1969 წელს.
ის საკუთარ შუქს არ ასხივებს, მზის სხივებითაა განათებული. მზე მას ზოგჯერ მთლიანად ანათებს და მაშინ ბურთის ფორმა აქვს (სავსე მთვარე), ხან კი მის ერთ ნაწილს (ახალი მთვარე) და მაშინ ასო „ა“-ს წაგავს.

IV ჯგუფი – კოსმოსი
კოსმოსი უსასრულო სივრცეა, მთელი სამყაროა, რომელიც მილიარდობით გალაქტიკებისაგან შედგება. გალაქტიკა ვარსკვლავების, პლანეტების და სხვა კოსმოსური ობიექტების გიგანტური გროვისგან შედგება. ჩვენი მზე, დედამიწა და ყველა ვარსკვლავი, რომელსაც ცაზე ვხედავთ, ერთ-ერთი გალაქტიკის ნაწილია, რომელსაც „ირმის ნახტომი“ ეწოდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კოსმოსში კიდევ უამრავი ჩვენთვის უცნობი გალაქტიკაა, სადაც რომელიმეში შესაძლებელია არსებობდეს სიცოცხლე.
რაკეტებს 1957 წლიდან უშვებენ კოსმოსში. დღემდე ბევრი ადამიანი გაფრინდა მთვარეზე, ხოლო უპილოტო ხომალდებმა უფრო შორეულ პლანეტებსაც მიაღწიეს, მაგალითად: ურანსა და ნეპტუნს. ადამიანს, რომელიც კოსმოსში მოგზაურობს, კოსმონავტი ან ასტრონავტი ჰქვია. პირველად ადამიანი 1961 წელს გაფრინდა კოსმოსში, ეს იყო იური გაგარინი. დღეს კი უახლესი კოსმოსური ხომალდით – შატლით – დაფრინავენ კოსმონავტები.

V ჯგუფი – მზის სისტემა. მზის სისტემის დახატვა.
მზის გარშემო მოძრავი პლანეტების ჯგუფს მზის სისტემა ჰქვია. ჩვენი მზის სისტემა ჩვენი გალაქტიკის – „ირმის ნახტომის“ ნაწილია. თითოეული პლანეტა მზის გარშემო საკუთარ უხილავ გზაზე, ორბიტაზე, მოძრაობს. პლანეტები ასე მოწესრიგებულად იმიტომ მოძრაობენ, რომ მათზე მიზიდულობის ძალა მოქმედებს. მზის მიზიდულობის ძალა დედამიწას კოსმოსში გაფრენის საშუალებას არ აძლევს.
მზის სისტემაში პლანეტები მზისგან დაშორების მიხედვით ასეა განლაგებული: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი. მე-9 პლანეტად ითვლებოდა პლუტონი, მაგრამ 2006 წელს ჯუჯა პლანეტის სტატუსი მიანიჭეს.

VI ჯგუფი – გაშიფრეთ ბარათები – პლანეტები სიდიდის მიხედვით მზის სისტემაში, ქართულ ანბანში ასოთა რიგის მიხედვით.

9	20	15	9	19	5	17	9

იუპიტერი

18	1	19	20	17	13	9

სატურნი

20	17	1	13	9

ურანი

13	5	15	19	20	13	9

ნეპტუნი

4	5	4	1	12	9	29	1

დედამიწა

6	5	13	5	17	1

ვენერა

12	1	17	18	9

მარსი

12	5	17	10	20	17	9

მერკური

VII. ჩანახატი თემაზე – „მოგზაურობა კოსმოსში“. რას მოინახულებდით? რით გაემგზავრებოდით? ვისთან ერთად იმოგზაურებდით? რას წაიღებდით თან?

შეჯამება – რა ისწავლეთ? რაში გამოიყენებთ ამ ცოდნას? (1წთ)

სავარაუდო პასუხები: გავიგეთ მეტი კოსმოსის და კოსმონავტების შესახებ, როდის გაფრინდნენ პირველად კოსმოსში, როგორია კოსმონავტის აღჭურვილობა, როგორ იკვლევენ კოსმოსს; თვითონ მოვიპოვეთ საინტერესო ცნობები კოსმოსის შესახებ – მკვლევრები გავხდით, თვითონ „დავამზადეთ“ მზის სისტემა და აღარ დამავიწყდება პლანეტების სახელწოდებები, სხვებსაც ვუამბობ საინტერესო ამბებს კოსმოსის შესახებ, უფროს კლასებშიც გამომადგება ეს ცოდნა. ისე დავინტერესდი კოსმოსით, რომ მეტ წიგნს წავიკითხავ ამ თემაზე.

საშინაო დავალება (1წთ) – მისწერეთ წერილი უცხოპლანეტელს, გამოიყენეთ თქვენი ცოდნა კოსმოსის შესახებ.
გაკვეთილების დაგეგმვისას განვსაზღვრავდი მიზანს, რომელიც ესგ-ით გათვალისწინებულ შედეგებზე იყო ორიენტირებული, ვირჩევდი შესაბამის აქტივობებსა და სტრატეგიებს, ვცდილობდი, ახალი ცნებები და ტერმინები გამხდარიყო ადვილად მისაწვდომი მოსწავლეთათვის, ამისთვის ვიყენებდი მრავალფეროვან რესურსებს, ვეყრდნობოდი მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას.

ნათია დარჩია
თბილისის №128 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ლიტერატურის სწავლებისთვის

რიტორიკა, როგორც ლიტერატურული იარაღი

„რომ მქონოდა რაფაელის ფუნჯი, მოცარტის მელოდია და კალდერონის ენა, იქნებ მეც რაიმე გრძნობა ჩამენერგა თქვენთვის.“
ერიხ მარია რემარკი

სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას ძველი დროიდანვე განიხილავდნენ, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს ადამიანთა შორის ურთიერთობისას. დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო ფართოვდება დიპლომატიის მნიშვნელობა. თითოეული ადამიანი, რომელსაც უწევს ფართო მასების ან თუნდაც ერთი ადამიანის წინაშე სიტყვის თქმა, ვალდებულია ისაუბროს გამართულად და ადეკვატურად. ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა სწორი, თანამიმდევრული მსჯელობა. დარწმუნების მეთოდი, არგუმენტების მოყვანა ლოგიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი პროცესია. წარმატებული დებატი, დისკუსია, კამათი კარგი დარწმუნებაა. დარწმუნება კი მხოლოდ კარგი არგუმენტირების შემთხვევაშია შესაძლებელი.

კარგი არგუმენტირების საიდუმლო ისაა, რომ მოსწავლემ შეძლოს არა არგუმენტის შედგენა, არამედ უშუალოდ პროცესი, როცა საუბრისას, მსჯელობა-განსჯა ერთმანეთთანაა მწყობრად გადაბმული და ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

არგუმენტირებისა და, ზოგადად, რიტორიკის ხელოვნებაზე ძალიან ბევრი დაწერილა. ჩემი მიზანია გაგაცნოთ ორი ძალიან ეფექტიანი და საინტერესო სავარჯიშო სწორედ არგუმენტირებისა და მსჯელობის განვითარებისათვის მოსწავლეებში.

რიტორიკა პრეზენტაციისთვის

„შემობრუნდი“

მოსწავლეები კლასში სხედან უკუღმა.

ერთ-ერთი მოსწავლე გამოდის და იწყებს იმ საკითხის პრეზენტაციას, რომელიც ჰგონია, რომ აუდიტორიისათვის საინტერესოა. თუ აუდიტორიის რომელიმე წევრს მოსწონს გამოსვლა, იგი ტრიალდება მოსაუბრის მხარეს.

პრეზენტაციის მთავარი ფუნქციაა, დააინტერესოს აუდიტორიის უმრავლესობა და, მტკიცე ლოგიკის გამოყენებით, აიძულოს ყველა მსმენელი შემობრუნდეს.

რჩევები რიტორიკისთვის:

- ხშირად გამოვიყენოთ ციტატები;
- გამოვიყენოთ მაგალითები დილემების სახით;
- დავაინტერესოთ აუდიტორია;
- ყურადღება გავამახვილოთ იმ საკითხებზე, რომლებზეც აუდიტორიამ მოახდინა კონცენტრაცია;
- გავითვალისწინოთ აუდიტორიის შესაძლებლობები, უპირატესობები;
- ხშირად გავაკეთოთ პაუზა;
- არ ვიჩქაროთ;
- გამოვიყენოთ ჟესტები და მიმიკები.

სავარჯიშო – „კონვერტი“

მოვამზადოთ 30 ბარათი; თითოეულზე დავწეროთ პროვოკაციული შეკითხვები. ყველა ბარათი ჩავდოთ კონვერტში, თითოეულმა მოსწავლემ რიგრიგობით ამოიღოს ბარათი, მოსაფიქრებლად მივცეთ 2 წუთი.

მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ 4 არგუმენტი-მტკიცება, უარყოფა ან ნეიტრალური პოზიცია. გამომსვლელებმა უნდა იმსჯელონ მოსწავლეთა შეხედულებებზე, წარმოადგინონ პრეზენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებიც. დრო უნდა იყოს რეგლამენტირებული – მოსაფიქრებლად 3 წუთი, პრეზენტაციისთვის 2 წუთი.

- რომელი ასაკიდან უნდა ისწავლებოდეს სექსუალური განათლება სკოლებში?
- რომელ ასაკში უნდა დაქორწინდეს ადამიანი?
- რომელი ასაკიდან უნდა დაიწყოს დალევა?
- აზრი აქვს ტელევიზორის ყურებას?
- ქალმა და მამაკაცმა ერთნაირად უნდა აიღონ თუ არა ხელფასი ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის?
- არის ხორცის ჭამა არაეთიკური?
- აქვს ხალხს პოლიტიკოსთა პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება?
- სპორტი მხოლოდ კომერციად გადაიქცა?
- აქვთ მდიდარ ქვეყნებს უფლება ღარიბი ქვეყნები დაიცვან?
- ინტერნეტს ზიანი რეალურად მეტი მოაქვს?
- სილამაზის კონკურსს მხოლოდ დადებითი მხარე აქვს?

ნანა თურქაძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
სამოქალაქო განათლება მე-9 კლასი, 2001
„არგუმენტაცია: არგუმენტის შექმნის გზები და სტარატეგიები“, ფირცხალავა ნათია

კონკურსი

შრომითი უნარების განვითარების მიზნით

მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების მიზნით, პროფესიულ კოლეჯში „იკაროსი“, სამზარეულო, საკონდიტრო და სერვირების მიმართულებით, კონკურსი გაიმართა. კონკურსში 11 სკოლის 32 მოსწავლე მონაწილეობდა, რომლებიც ჩართული იყვნენ შრომითი უნარების პროექტში.

კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ შეფ-მზარეულები, ბარმენეჯერები, კოლეჯის კურსდამთავრებულები და პედაგოგები, სამივე მიმართულებით გამარჯვებული სკოლები გამოავლინა:

- ნომინაციაში „კულინარიის საფუძვლები“ პირველი ადგილის მფლობელები თბილისის 214-ე სკოლის მოსწავლეები – **არსენ გერლიანი** და **გიორგი ზამთრეული** გახდნენ;
- ნომინაციაში „ნორჩი კონდიტერი“ პირველი ადგილი წილად ხვდათ ხაშურის მე-8 სკოლის მოსწავლეებს – **ლიზი ალექსიძეს** და **ანა კოპაძეს**;
- ნომინაციაში „სერვისი და სერვირება“ გამარჯვება მოიპოვეს თბილისის 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **სალომე დემეტრაძემ** და **გიორგი ქვრივიშვილმა**.

ПРАКТИКУЛИ САМУШАО

სწავლება კეთებით და აღმოჩენების გზით

ჯონ დიუის იდეების გამოყენება ქიმიის სწავლების პროცესში

ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი პროგრესიული განათლების მოძრაობის ავტორი იყო. ამ მოძრაობის მთავარ პრინციპებს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლება, სოციალურ ინტერაქციათა და შესასწავლ საგანთან ინტერაქციით ცოდნის აგება. პროგრესიული განათლება გულისხმობდა მოსწავლეზე ორიენტირებულ, მისი ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის მიერ წარმართულ პროცესს.

დიუი ცდილობდა, საკუთარი პრაქტიკით დაემტკიცებინა გამოცდილებით სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პოტენციალის უპირატესობა. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ კეთებით, როცა თვითონ ქმნიან რაიმეს და როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ განათლების მნიშვნელობას.

მისი აზრით განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების სწავლებას: მთავარია, მოსწავლეებმა შეიძინონ ის უნარები და ცოდნა, რომლის გამოყენებასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებენ.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების თანახმად, სწავლა ნიშნავს არა მარტო ინფორმაციის შეძენასა და დაგროვებას, არამედ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, შეძენილი ცოდნის რეალურ პრაქტიკაში გამოყენებას.

თანამედროვე სკოლებში ჯ. დიუის იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება:

- ❖ სწავლება გამოცდილებით, ანუ კეთებით;
- ❖ ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტულ თემებზეა ფოკუსირებული;
- ❖ ჯგუფური მუშაობა და სოციალური უნარების განვითარება;
- ❖ სწავლება არა გაზეპირებით, არამედ გაგებისათვის;
- ❖ განათლება სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიისათვის;
- ❖ კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება;
- ❖ საგნის შინაარსის შერჩევა იმის მიხედვით, თუ რა უნარები გამოადგებათ მომავალში მოსწავლეებს;
- ❖ სახელმძღვანელოების ნაკლები სიხშირით გამოყენება და უპირატესობის მინიჭება უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისთვის;
- ❖ უფრო მოქნილი, მოსწავლეების ინტერესებს მორგებული სასწავლო გეგმა;
- ❖ მასწავლებლები არიან მხოლოდ მრჩევლები, ფასილიტატორები, მაგრამ იყენებენ მრავალფეროვან მასალას ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევის წასახალისებლად;
- ❖ მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს, რომ ისწავლონ აღმოჩენით.



მოდელირება: ნამუშევრების გამოფენა



იზომერია – მოვლენა, როდესაც მოლეკულის შედგენილობა ერთი და იგივეა, მაგრამ სტრუქტურა სხვანაირია



ნ-დეკანის ერთ-ერთი სტრუქტურა

ქიმიის გაკვეთილზე პრაქტიკული მუშაობა ბევრ მნიშვნელოვან აქტივობებს მოიცავს:



ПРАКТИКУЛИ САМУШАО ქიმიაში №1
კლასი: მე-11(1-2)
სკოლა: სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო
თემა: ნაჯერი ნახშირწყალბადების სტრუქტურა და მოლეკულების აგება
მასწავლებელი: ნატალია ლუკაშევსკაია

სტანდარტი:

ქიმ.სტ.XI.26.	➢ ალკანების ელექტრონული და სივრცითი აღნაგობის შესახებ მსჯელობა;
ქიმ.სტ.XI.27.	➢ მსჯელობა სტრუქტურის SP3 ჰიბრიდიზაციის დახასიათება და გამოყენება მოდელების აგების პროცესში, იზომერიის მოვლენის შესახებ მსჯელობა.

სიტუაცია	სტანდარტი	მიზანი	აქტივობები
1. ქიმიის გაკვეთილზე ორგანული ნაერთების ნაჯერი ნახშირწყალბადების მოლეკულების აგება/მოდელირება. 2. იზომერიის მოვლენის გააზრება. 3. კონფორმაციები. 4. პროპანის და ბუტანის ზიგზაგური სტრუქუტურა. 5. ორგანული ნაერთების მრავალფეროვნებაზე და რაოდენობაზე მსჯელობა.	1. ორგანული ჰომოლოგიური რიგის ნაჯერი ნახშირწყალბადების მაგალითებზე ჰომოლოგებზე წარმოდგენა. 2. მსჯელობა SP3 ჰიბრიდიზაციის შესახებ, დახასიათება და გამოყენება 3. მოდელების აგების პროცესში იზომერიის მოვლენის შესახებ მსჯელობა.	1. მოსწავლეების მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება: კრიტიკული მიდგომის, შემოქმედებითი აზროვნების. 2. სივრცული და კინესტეტიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება. 3. ორგანული ნაერთების მრავალფეროვნებაზე ფიქრი და მსჯელობა. 4. გამოყენებაზე ფიქრი.	1. წინარე ცოდნის გააქტიურება/გამოყენება. 2. მოლეკულური მოდელების აგება. 3. იზომერების მოდელების განსხვავება. 4. ვალენტობის მიხედვით მოდელების აგება 5. მსჯელობა სტრუქტურის შესახებ. 6. იზომერების აგება და სტრუქტურის შედარება. 7. იზომერების ფიზიკური და ქიმიური შედარება. 8. ვარაუდი სხვაობის შესახებ.

გაკვეთილის პროცესი:

სამუშაო პროცესი – სწავლა კეთებით, აღმოჩენის გზით



სავალენტო კუთხე – 109º 28'
ბმის სიგრძე – 0,1406ნმ,
ბმის ენერგია – 369კჯ/მოლი



დასკვნა და შეფასება

მიღებული შედეგები:

- • რამდენიმე მოსწავლეს, მოლეკულების აგების პერიოდში, იზომერიაზე სნორი წარმოდგენა შეექმნა;
- • ჯგუფური მუშაობა მთელი კლასის სასწავლო პროცესში ჩაბმაში დამეხმარა;
- • სამუშაო პროცესი აზროვნულად გაგების დონეზე ტარდებოდა;
- • მეტად განვითარდა სივრცული და კინესტეტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები;
- • განუვითარდათ სოციალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- • მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა უფრო მეგობრული გახდა.

ნატალია ლუკაშევსკაია
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. განვითარებისა და სწავლის თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი, 2008 წელი.
2. სწავლება და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. თბილისი, 2008 წელი.
3. ტრენინგის მასალები „ქიმიის ექსპერიმენტის ტექნიკა“, 2016 წელი.
4. ტრენინგის მასალები „გაკვეთილის დაგეგმვა და მართვა“, 2010 წელი.
5. ქიმია, მე-11 კლასი, გ. ანდრონიკაშვილი, მ. მამიაშვილი, დ. გულაია. თბილისი, 2012 წელი.
6. მასწავლებლის წიგნი, მე-11 კლასი. თბილისი, 2012 წელი.

თსუ — 100

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო საღამო დედოფლისწყაროში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე წელს იუნესკოს ეგიდით იმართება, რაც ამ ისტორიულ მოვლენას მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

ის ფაქტი, რომ 2018 წელი უნივერსიტეტის წლად გამოცხადდა, მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პიროვნებისთვის, მით უფრო უნივერსიტეტის ყველა თაობის კურსდამთავრებულთათვის. ამის დასტურია დედოფლისწყაროში, სასწავლო ცენტრ „სპექტრში", ჩატარებული საღამო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საღამოს დაწყებამდე ვიდეოკოლაჟში გაცოცხლდა უნივერსიტეტის დამფუძნებლების სახეები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე...

უნივერსიტეტის დედოფლისწყაროელმა კურსდამთავრებულებმა: ჟურნალისტებმა **ნაირა გორაშვილმა**, **ინგა შიოშვილმა**, **ნანა ჭიჭინაძემ**, მათემატიკოსმა **ეგული ყოჩიაშვილმა**, ფილოლოგმა **ნანა მერაბიშვილმა**, ისტორიკოსმა **მამული ნატროშვილმა**, ფიზიკოსმა **ნუნუ ცაკაშვილმა**, იურისტმა **ლია ჩოქურმა**, ეკონომისტებმა **რეგინა ჯანიაშვილმა**, **იაგო ყოჩიაშვილმა**, **ლუიზა ნასყიდაშვილმა**, **ნათელა ბიღიაშვილმა**, გერმანული ენის პედაგოგმა **ნელი ხარაზიშვილმა**, **მერი თარაშვილმა**, ფიზიკოსმა **თამარ მოძღვრიშვილმა** და სხვებმა გაიხსენეს უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტობის წლები. თითოეული მათგანი აფიქსირებდა დედა-უნივერსიტეტის განსაკუთრებულ და განუზომელ ღვაწლს, რაც უნივერსიტეტს დაარსების დღიდან აქვს ქვეყნის წინაშე. გაიხსენეს დიდებული მამულიშვილები, რომელთაც ამ უნივერსიტეტში უმოღვაწიათ.

კურსდამთავრებულებს თბილი სიტყვებით მიმართეს და იუბილე მიულოცეს სპეციალურად მოწვეულმა სტუმრებმა: ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქემ, **ცისანა მჭედლიშვილმა**, სოფლის მეურნეობის ცნობილმა სპეციალისტებმა – **გივი ღვინიაშვილმა**, **მერაბ რობიტაშვილმა**, ფარმაცევტმა, საქართველოს მასშტაბით „გამორჩეული ქალბატონის" წოდების მფლობელმა **ნათელა ღრუბელაშვილმა-კობაიძემ**. ქალბატონმა ნათელამ აღნიშნა: *„2013 წლის 15 თებერვალს, მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარის, ნანა ჭიჭინაძის მოწვევით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ვესწრებოდი უნივერსიტეტის 95-ე წლის საიუბილეო საღამოს, რომლის დასრულების შემდეგ ქალბატონმა ნანამ ყველა მიგვიწვია კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების 100 წლის საიუბილეო საღამოზე და თითოეულ ჩვენგანს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა გვისურვა. დღეს თქვენთან ერთად ვესწრები ამ საზეიმო დღეს და მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება მოგილოცოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროელ კურსდამთავრებულებს ჩვენი უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე".* ამ პროექტის იდეის ავტორი გახლავთ დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თანათავმჯდომარე, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი **ნანა ჭიჭინაძე**, პროექტის მხარდამჭერი, მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე, წარმატებული ფერმერი **ვანო ნატროშვილი** და დედოფლისწყაროს მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**.

კურსდამთავრებულებმა უნივერსიტეტის საიუბილეოდ გამოცემულ ბუკლეტში ავტოგრაფები დატოვეს.

საღამოს დასასრულს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის სულისჩამდგმელს და სპონსორს, წარმატებული სასწავლო ცენტრის „სპექტრი" დირექტორს, **ნუნუ ცაკაშვილ-იმერლიშვილს** განსაკუთრებული დახვედრისა და მასპინძლობისთვის.

მარიკა პოპიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული

სპორტი

დედოფლისწყარომ ჩოგბურთში კახეთის სასკოლო ოლიმპიადას უმასპინძლა

24 თებერვალს, დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში (ა(ა)იპ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორი – **აკაკი ნატროშვილი**), მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის კახეთის რეგიონული პირველობა ჩატარდა. შეჯიბრს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ოლიმპიადის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს წარმატება უსურვა. სპორტული ასპარეზობის მიმდინარეობისას მერი დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს ამხნევებდა და თითოეული სეტის მოგებას მათთან ერთად ზეიმობდა.

ოლიმპიადაზე დედოფლისწყაროს ორივე გუნდს სამთაწყაროელი სპორტსმენები წარმოადგენდნენ, რომლებმაც შარშან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველობა მოიპოვეს.

დაძაბულ ბრძოლაში დედოფლისწყაროელმა ვაჟებმა და გოგონებმა ფინალში მოხვედრა შეძლეს და, კახეთის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, თელაველ თანატოლებს დაუპირისპირდნენ.

მაგიდის ჩოგბურთში „საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა 2018" კახეთის ჩემპიონები თელავის გოგონათა და ვაჟთა გუნდები გახდნენ, დედოფლისწყაროელები კი მეორე ადგილებს დასჯერდნენ.

გამარჯვებული გუნდები, მაისში, საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

მარიკა პოპიაშვილი

ანტალია მომავალს გვიზრდის

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა გუნდებმა – გოგონებმაც და ბიჭებმაც ანტალიაში იასპარეზეს ჭაბუკთა ევროპის თასზე, სადაც ორივე გუნდს განსხვავებული ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი: ბიჭებისთვის მთავარი იყო, მსოფლიოს მესამე ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულები მოეპოვებინათ, რასაც ეს შეჯიბრებაც იძლეოდა, გოგონები კი ამ ქულებსაც უმიზნებდნენ, მაგრამ უფრო გამოცდილების მისაღებად ჭიდაობდნენ. თუმცა გოგონებშიც და ბიჭებშიც სალიცენზიო ქულები 10-10-დან მარტო 4-4 წონაში გაიცემა. ამიტომ ბიჭებმა ანტალიაში მხოლოდ ორი მონაწილე წაიყვანეს – იმ ოთხი წონიდან, სადაც ყველაზე მეტად გვაქვს ლიცენზიის მოპოვების შანსი, სხვები საკუთარი ხარჯით წავიდნენ, გოგონებში კი მწვრთნელებმა ყველას მისცეს გამოცდილების მიღების საშუალება.

თურქეთში ჩვენმა გუნდმა 4 მედალი მოიპოვა, ყველა – ბრინჯაოსი და ყველა ბიჭების ნაკრებმა, გოგონები კი უმედლოდ დარჩნენ. თუმცა, მწვრთნელებს მოლოდინი მაინც გაუმართლდათ – ბიჭებში ის ორივე შერჩეული მოზარდი, **ლუკა კაპანაძეც** (66) და **გიორგი შერაზადიშვილიც** (81) მედალოსნები გახდნენ, მათ გარდა კი ბრინჯაოს მედლებს **ნიკა ზოიძე** (73) და **გიორგი რევაზიშვილი** (+90) დაეუფლნენ. აღსანიშნავია, რომ ზოიძემ და შერაზადიშვილმა ბრინჯაოსთვის გამართული გადამწყვეტი პაექრობა თანაგუნდელებს მოუგეს, შესაბამისად, **ბექა სანაიას** და **ჯუმბერ კოლხიტაშვილს**, კაპანაძემ კი შვედი **პაშა პაშაევი** დაამარცხა, ხოლო რევაზიშვილმა – აზერბაიჯანელი **ჰუსეინ მამედოვი**.

ამ ოთხეულიდან ბოლო სამი მედალოსანი ნახევარფინალში გავიდა, მედლამდე მხოლოდ კაპანაძემ მიაღწია დამამშვიდებელი წრიდან. თან ის სამეული შეჯიბრების ბოლო დღეს ჭიდაობდა, ანუ **გიორგი ყიზილაშვილის** გუნდს ოთხი წონიდან სამში ნახევარფინალში ჰყავდა მონაწილე. ეს კარგია, მაგრამ ცუდია, რომ, საბოლოოდ, ოქროს გარეშე დავრჩით.

კაპანაძემ ერთადერთი მარცხი, ჯგუფურ ეტაპზე, თურქ **უმალტ დემირელთან** იწვნია. სხვა შეხვედრებში რუსი **ალექსანდრ კობელევი**, ყაზახი **ანუარ ჟუმაგელდინი**, თურქი **ბერკე ჯირპანი** და კიდევ ერთი ყაზახი **ალმას უალი** დაამარცხა.

შერაზადიშვილმა ჯერ ყაზახი **ბეკზატ შაგატაევი** მოახსნევინა გაფრთხილებებით, თურქი **ჰასან სიმსეკი** და უკრაინელი **ლუკა ნეტიაჰა** დააიპონა, რასაც აზერბაიჯანელ **იბრაჰიმ აგაკიშიევთან** მარცხი მიაყოლა, მერე კი კოლხიტაშვილსაც მოუგო.

ძალიან კარგად გამოვიდა ზოიძეც და სანაიაც, ასევე – რევაზიშვილიც. როგორც გითხარით, სალიცენზიო ქულები მხოლოდ კაპანაძემ და შერაზადიშვილმა მიიღეს, თუმცა გულნაკლულნი არც სხვა მედალოსნები დარჩებიან — მათ, უახლოეს ხანში, ჭაბუკთა ნაკრების ძირითად შემადგენლობასთან ერთად ტულაში წაიყვანენ საერთაშორისო ტურნირზე. არადა, ისინი საქართველოს ჩემპიონატზე დამარცხდნენ და რომ არა მორიგი შანსი, ნაკრებში ხელახლა მოხვედრის არანაირი იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

გოგონები ამჯერად უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ მწვრთნელებს ალღომ არც იქ უმტყუნათ: **ინდირა სილაგაძე** (63) და **სალომე მაყიშვილი** (+70) მეხუთე ადგილზე გავიდნენ. ეს დუეტი გამორჩეულია ამ თაობაში და მათგან სხვებზე მეტს ელოდებიან. თანაც, სილაგაძის წონა იმ სალიცენზიო ოთხ წონაში შედის, რომელმაც ოქტომბერში არგენტინაში უნდა იასპარეზოს მსოფლიოს თამაშებში. ცუდია, რომ მძიმე წონა არაა მის პროგრამაში, თორემ მაყიშვილს მძიმე წონაში **სოფიო სომხიშვილის** ღირსეულ შემცვლელად მოიაზრებენ. აქვე გეტყვით, რომ წლეულს ამ ნაკრებს სერიოზულად შეეხო თაობათა ცვლა – ახალგაზრდებში გადავიდნენ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ფინალისტი, ევროპული ოლიმპიური ფესტივალის მომგები სომხიშვილი და იმავე ფესტივალის კიდევ ერთი გამარჯვებული **მარიამ ჭანტურია** (70). ახლა მათ ნაცვლად მწვრთნელებს სწორედ სილაგაძის და მაყიშვილის ეიმედებათ.

ტურნირის შემდეგ, გოგონების ნაკრები ანტალიაში დარჩა ერთობლივ ვარჯიშებზე. ასეთი ტიპის წვრთნები მათ ჰაერივით სჭირდებათ, რადგან ქვეყანაში სათანადო დონის სპარინგების საშუალება არა აქვთ ძიუდოისტი გოგონების სიმცირის გამო და ამ დანაკლისს მხოლოდ უცხოეთში გავლილი შეკრებებით თუ შეივსებენ.

ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები

ნიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

ნიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა

სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა

მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

4 ლარი

თამაზ ვასაძე

ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



12 ლარი

თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია



6 ლარი

ბიოლოგია

ეროვნული გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზრიშვილი

9 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჯურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.
სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად.

15 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის

წიგნი I V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK